# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 4 აგვისტო, 2011 წელი.

№144 (6755)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## კიწმარიშვილის ფიქრები –




2

## თქვენი მხსნელი ვიქნები...

## სააკაშვილის ხელისუფლებისგან რუსეთის „დამცირება“ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! 5

## „შემხააპუნება“...




4

## საქართველოს მოსახლეობის სრული იმუნიზაცია

**დემოგრაფია**

## ბიჭი თუ გოგო? 9



## სასაზღვრო სოფელი აიბღა – რუსულ-აფხაზური „განხეთქილების ვაშლი“



პირველი მსხვერპლი იყო ძროხა!

3

## კოკოითი რუსეთისკენ იწევს, მაგრამ ხალხი არ მიჰყვება



**რას არ გაიგებ**

## „მამაკაცმა“ სამი ბავშვი გააჩინა 7

## რა რეაქციას ველოდებით აფხაზებისა და ოსებისგან, მაშინ როცა მათ მარიონეტებს ვეძახით? 4

**ანონსი**

## „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“



6 აგვისტოდან „საქართველოს რესპუბლიკა“ მკითხველს სთავაზობს გამოჩენილი სერბი მწერლის **მილორად პავიჩის** (1929-2009წ) კიდევ ერთ ახალ რომანს – **„შვიდ მომაკვდინებელ ცოდვას“,** რომელიც რამდენიმე ნოველისგან შედგება, მაგრამ ავტორს ერთ განუყოფელ რომანად მიაჩნდა. როგორც ნახვრეტიან ჯადოსნურ მიჭვრიტანა-სარკეში, ისეა აქ არეკლილი თუ ასახული დანტესეული „ჯოჯოხეთი“, მხატვარ ბოსხის უცხოგვარი ბესტიარიები და თვითონ მწერლის იდუმალი პერსონაჟები.

ჩვენი გაზეთის მკითხველი ადრე უკვე გაეცნო ამავე მწერლის **„ხაზარულ სიტყვისკონას“** და **„სხვა სხეულს“**. 6 აგვისტოდან კი ვიწყებთ **„შვიდი მომაკვდინებელი ცოდვის“** ბეჭდვას...

ნეტარ არიან...

**ეროსი კიწმარიშვილი ახალი პოლიტიკური შტურმის სამზადისშია: ამჯერად პარტნიორებად ალექსანდრე ებრალიძე და კრემლთან დაახლოებული სხვა, რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები შეარჩია. „კიწოს", როგორც მას ახლობლები დაახლოებით ათი წლის წინათ ეძახდნენ (აბა, ახლა ვინ გაუბედავს, შალვა ნათელაშვილის გარდა და ისიც „ბუხრიდან ჩამოვარდნილ მაჯლაჯუნას" ეძახის), პოლიტიკურ ასპარეზად საქართველო უკვე ეპატარავება და პოლიტიკური ეპიცენტრის გადატანას ყელში ამოსული სამშობლოდან ბრიუსელში გეგმავს: ოქრუაშვილის მარჯვენა ხელი და მთავარი დასაყრდენი, მაისის ფიასკოს შემდეგ „ქართული პარტიის" დატოვებას აპირებს, თუმცა, ჯერ ბოლომდე ვერ ელევა და მანამდე თანამოაზრეებს ფორუმზე ბრიუსელში ეპატიჟება. ფორუმს კი, არც მეტი, არც ნაკლები — „გადავარჩინოთ საქართველო" ჰქვია...**

**„კიწო" ინტერვიუებს მხოლოდ მისთვის სანდოდ მიჩნეულ ბეჭდურ პრესას აძლევს, ამჯერად სხვა მედიასაშუალებებს არ სწყალობს. იგი განმარტავს, რომ ამ ეტაპზე ბრიუსელში დაგეგმილ ფორუმს საერთო არაფერი აქვს „ქართულ პარტიასთან" — საქართველოს გადარჩენა არა „ქართული პარტიის", არამედ ეროსი კიწმარიშვილის „ექსკლუზივია". ვერაფერს იტყვი: ერთ დროს საქართველოს პირველმა „ტელევიზიონშიკმა" ნამდვილად იცის ექსკლუზივის ფასი...**

# კიწმარიშვილის ფიქრები – თქვენი მხსნელი ვიქნები...



ახლა გვეშველება, აჰა, არა?!

მისი თქმით, ფორუმი თავს მოუყრის გავლენიან ქართველებს, ანუ ეს გავლენიანი ქართველები მერე ეროსისთან ერთად აიტკიებენ თავს იმაზე ფიქრით, როგორ გადაარჩინონ საქართველო. საქართველოს გადარჩენის გზები, როგორც უკვე მოგახსენეთ, ბრიუსელში დაისახება და მერე, იქნებ, საქართველოში დარჩენილ, ბრიუსელში ვერწასულ და არაგავლენიან ქართველებსაც გაგვაგებინონ, როგორ გვიპირებენ გადარჩენას.

ჩვენი ქვეყნის „გადამრჩენელთა", „მხსნელთა" თუ „მაშველთა" სია საკმაოდ წარმომადგენლობითია. ფორუმის სავარაუდო მონაწილეებს თუ გადახედავთ, ეგრევე მიხვდებით, როგორ უნდა გადაგვარჩინონ: მართალია, „კიწო" ჯერ არ ასახელებს ფორუმის მონაწილეთა ვინაობას და გაოცებულიც კია, ჩემგან დამოუკიდებლად ფორუმის იდეაზე ინფორმაცია როგორ გავრცელდაო, მაგრამ „არა არს დაფარული, რომელი არა გაცხადდეს" პრინციპიდან გამომდინარე, ფორუმელ „გადამრჩენელთა" ვინაობა მაინც ცნობილი გახდა. მათგან ყველაზე მძიმეწონიანნი რომ დავასახელოთ (პირველ ორთან მიმართებაში - პირდაპირი მნიშვნელობით), ასეთ სიას მივიღებთ: **ალექსანდრე ებრალიძე, მიხეილ ხუბუტია, თემურ ბასილია** და... აბა, თუ მიხვდებით, კიდევ ვინ? ქალის გარეშე გადარჩენილი საქართველოსი რა ვთქვიო და - **თიკა კანდელაკი...** მოდი და არ დაუჯერო ეროსი კიწმარიშვილს, როცა ამბობს, რომ ფორუმის მონაწილეები პოლიტიკოსები არ არიან. აბა, სადაური პოლიტიკოსები არიან ებრალიძე, ხუბუტია და კანდელაკი, როცა სამივეს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტობა სურს და ამას არც ერთი არ მალავს...

ბრიუსელში დაგეგმილი ფორუმის დეტალები, ჯერჯერობით, გასაიდუმლოებულია. ამიტომაც, თიკა კანდელაკმა, ლამის იყო, ქოში უკულმა ჰყარა, როცა „კურიერიდან" კომენტარისთვის დაუკავშირდნენ:

**თიკა კანდელაკი: „ჯერჯერობით, არანაირი მიწვევა არ მიმიღია"**

**„კურიერი": რაიმე სახით მოლაპარაკება თუ გქონდათ ეროსი კიწმარიშვილთან?**

**თ. კ.(რუსულად):** თქვენ ხომ მკითხეთ და მეც გიპასუხეთ... (გადადის ქართულზეძ: მე მყავს ძალიან მშვენიერი პრეს-სეკრეტარი (ნეტა, ის „მშვენიერი პრეს-სეკრეტარი" არ გადაგვარჩენს? — გ.ჯძ, რომლის ტელეფონსაც, თუ გინდათ, მოგცემთ, დაურეკეთ და კითხეთ, შესაძლებელი არის თუ არა, რომ მე მოგცეთ ინტერვიუ...

კაცმა რომ თქვას, მსგავსი შეხვედრების, ფორუმებისა თუ კონგრესების მოწყობა მთლად „კიწოს" ექსკლუზივიც არ არის — მანამდეც არაერთხელ გამართულა. „გადამრჩენები" საქართველოს არასდროს აკლდა, მაგრამ საბედნიეროდ, მათ „გადარჩენილ" ქვეყანაში არ ვცხოვრობთ. მარტო ავსტრიაში მოწყობილი კონგრესი თუ ფორუმის გახსენება რად ღირს, ვენაში მყოფმა ლევან პირველმა რომ ჩაატარა... მაშინ ქართველებიდან იმ ფორუმზე ზურაბ ტყემალაძე და კონსტანტინე გამსახურდია იმყოფებოდნენ და სწორედ იმ ფორუმზე „გამოანათა" პირველად ალექსანდრე ებრალიძემ.

დღეს ზურაბ ტყემალაძისთვის მსგავსი სახის ფორუმები კატეგორიულად მიუღებელია და არც ებრალიძეზე ამოსდის მზე და მთვარე. „კურიერთან" ინტერვიუში მრეწველთა ლიდერი ამბობს: **„არა მგონია, ალექსანდრე ებრალიძე ქართული საქმით იყოს დაინტერესებული, იმიტომ რომ იგი არის რუსეთის მოქალაქე, დიდი ხანია, მოღვაწეობს და ცხოვრობს რუსეთში და არის რუსეთის ინტერესების გამტარებელი, თუმცა, იგი არც მალავს ამას... დარწმუნებული ვარ, მისი ორგანიზებული ყველა ასეთი შეკრება ფიასკოთი დამთავრდება"**. სხვათა შორის, ზურაბ ტყემალაძემ სწორედ ამ მიზეზით არ მიიღო მონაწილეობა ებრალიძის მიერ სოჭში ორგანიზებულ კონგრესშიც...

სამაგიეროდ, ებრალიძის მიერ პეტერბურგში მოწყობილ სემინარზე თუ ფორუმზე ცოტა ხნის წინათ ქართული ოპოზიცია ლიად გამოჩნდა: „პირველი მერცხლები" ამ შემთხვევაში, კობა დავითაშვილი და კახა კუკავა იყვნენ.

მართალია, კიწმარიშვილი ამ პოლიტიკური იდეის „პირველი მერცხალი" არ არის, მაგრამ მაინც იმედი აქვს, რომ საქართველოს გადარჩენას შეძლებს. თანაც, იმედი ხომ ყველაზე გვიან კვდება და ნუ დავძრახავთ: იქნებ ეროსი კიწმარიშვილს მართლაც ჰგონია, რომ ქვეყნის გადარჩენა მაჯლაჯუნებსაც შეუძლიათ...

**გეგა ჯორჯაძე**

Presa.ge

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

### ეს ტელეანძა იქნება ჩამხშობი ანძა

**პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის მოსაზრებით, ხელისუფლებას ტელეანძის მიმართ გარკვეული ინტერესი და არც თუ ნათელი განზრახვა აქვს.**

**— საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილება ტელეანძის ოთხი წლით კერძო კომპანიისთვის გადაცემის შესახებ, თავისუფალ სიტყვას კიდევ უფრო სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. ჩნდება უამრავი უპასუხო კითხვა: რატომ დადგა დღის წესრიგში ანძის გასხვისება? რატომ იყო აუქციონის პირობები გასაიდუმლოებული? რატომ აღმოჩნდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი და რა საჭირო იყო მისი ვინაობის ასე საგულდაგულოდ დამალვა? ყველაფერი ერთად ადამიანს აფიქრებინებს, რომ ამ პროცესში რაღაც რიგზე არ არის, — აცხადებს ექსპერტი რამაზ საყვარელიძე.**

**— შედეგად კი, ეს ანძა აღარ იქნება სიტყვის თავისუფლების სამსახურში, პროცესი საგარაუდოდ, ისე წარიმართება, რომ ეს ტელეანძა იქნება ჩამხშობი ანძა, — აღნიშნავს საყვარელიძე.**

### პატიმართა გაუსაძლის ყოფას პაპანაქებაც დაემატა

**არასამთავრობო ორგანიზაციები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის გამო შეშფოთებას გამოხატავენ.**

**როგორც არასამთავრობოების ერთობლივ განცხადებაშია აღნიშნული, ბოლო პერიოდში საქართველოში ტემპერატურამ საგრძნობლად იმატა, რამაც პატიმრების მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მნიშვნელოვნად გააუარესა. კერძოდ, საკნები არ არის აღჭურვილი ვენტილაციის სისტემით. რიგ შემთხვევებში პრობლემებია წყალმომარაგებასთან დაკავშირებით, რის გამოც ზაფხულის პერიოდში უფრო გაუსაძლისი ხდება პატიმრების მდგომარეობა. ამ ვითარებაში განსაკუთრებით გართულდება იმ პატიმართა მდგომარეობა, რომლებიც სასჯელს იხდიან დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. ამასთან, კრიტიკულია იმ პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლებსაც აქვთ გულსისხლძარღვთა დაავადებები.**

**მათი განცხადებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი კრძალავს წამებას, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას. „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების" თანახმად, პატიმრებისათვის განკუთვნილი ყველა ადგილსამყოფელი და განსაკუთრებით საძინებელი ადგილი უნდა პასუხობდეს ჯანმრთელობის ყველა მოთხოვნას და უნდა ითვალისწინებდეს სათანადო კლიმატურ პირობებს, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს ჰაერის მოცულობას, მინიმალურ ფართს, განათებას, გათბობასა და ვენტილაციას.**

### დავეწევით კი შვეიცარიას?

**მსოფლიო ტურისტულ რეიტინგში, განვითარებულ ქვეყნებს შორის შვეიცარია ლიდერობს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ისრაელი. მთლიანად რეიტინგში 196 ქვეყანა მონაწილეობდა, რომლებიც 10 მაჩვენებლის მიხედვით ფასდებოდნენ, მათ შორის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების, უსაფრთხოების, ბუნებრივი სიმდიდრის და ტურისტებისათვის მიმზიდველობის კუთხით.**

**აღსანიშნავია, რომ აშშ რეიტინგის ოცეულშიც კი ვერ მოხვდა, რადგანაც ის რეიტინგში 21-ე ადგილზე გავიდა.**

ხო-ეიბ-ენი

სემინარი

# MICE ტურიზმზე „რედისონში" იმსჯელეს

**სასტუმრო „რედისონში" საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივასთან" (EPI) ერთად სემინარი ჩაატარა, რომელმაც საქართველოს ტურიზმის სექტორში არსებულ ორგანიზაციებს შეხვედრების, ღონისძიებების, კონფერენციებისა და გამოფენების ტურიზმის მსოფლიო ტენდენციები გააცნო.**

„ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა MICE ტურიზმის განვითარება წარმოადგენს. და საქართველოს, როგორც ღონისძიებებისათვის მიმზიდველი დანიშნულების ადგილის წარმოჩენას ემსახურება. EPI ტურიზმის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად ეხმარება სექტორს ტრეინინგებითა და ადგილობრივი კომპანიების ქმედითუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებით.

სემინარი ტურიზმის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ მაია სიდამონიძემ და USAID EPI-ის წარმომადგენელმა ზვიად ქელივიძემ გახსნეს.

სემინარმა უმასპინძლა ადგილობრივ ტუროპერატორებს, საქართველოს ტურიზმის ასოციაციას, სასტუმროებსა და ღონისძიებების მართვის კომპანიებს. სემინარის მიზანია, გაზარდოს ცნობადობა დარგში არსებული უკანასკნელი გლობალური ტენდენციების შესახებ.

სემინარის გახსნაზე ითქვა, რომ ეს არის პირველი შესაძლებლობა ქართული ბიზნესებისთვის, მონაწილეობა მიიღონ ასეთ მასშტაბურ ღონისძიებაში, სადაც მათ საშუალება მიეცემათ დაამყარონ პარტნიორული ურთიერთობები გლობალურ ორგანიზაციებთან და მოიზიდონ მეტი ტურისტი. ანალოგიური სემინარი 3 აგვისტოს ბათუმშიც გაიმართა.

„ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის" ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას MICE ტურიზმის განვითარება წარმოადგენს.

MICE (შეხვედრები, ღონისძიებები, კონფერენციები და გამოფენები) არის ტურისტული მიმართულება, რომელიც ორიენტირებულია მსხვილ ორგანიზებულ კორპორატიულ და პროფესიულ ტურებზე. სიტყვა MICE წარმოადგენს აბრევიატურას და იშიფრება როგორც – შეხვედრები, წახალისებელი ტურები, კონფერენციები და გამოფენები. მიმართულება, ასევე, მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს (მაგ: ქორწილი, დაბადების დღე და კრებები (ყრილობები). MICE ტურიზმი არის კარგად დაგეგმილი და წინასწარ განზრახული ღონისძიება რომელსაც კონკრეტული თემის გარშემო, როგორიცაა, მაგალითად ჰობი, პროფესია ან საგანმანათლებლო თემა.



**ნატა ნიგლაძე**

◎ ცეცხლში გახვეული კავკასია

# განახლდება ომი ყარაბაღში?

## ანუ ვისი ნება-სურვილის გასახმოვანებლად იხილავს „ექსპერტთა კლუბი“ ფელგენგაუერის განცხადებას?



**— რა თქმა უნდა, მოსკოვს ძალიანაც სურს თავისი „ცისფერჩაფხუტიანები“ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ჩააყენოს, მაგრამ არავის უნდა დაავიწყდეს, თუ რა მოუტანა ასეთმა პოლიტიკამ საქართველოს, თანაც — ორივე ოკუპირებულ ტერიტორიაზე. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ეს ძალიან კარგად იცის, — ამიტომაც არ თანხმდება რუსული ჯარის ყარაბაღის ოკუპირებულ ტერიტორიებზე განთავსებას. მით უმეტეს, რომ რუსეთი სომხეთის, ანუ კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის სტრატეგიულ პარტნირად ითვლება**, — აღნიშნავს კლუბის წარმომადგენელი ირაკლი ცქიტიშვილი.

ამასთან, იგი ყურადღებას იმ გარემოებაზე ამახვილებს, რომ „ფელგენგაუერი საეჭვოდ კარგად იყო ინფორმირებული 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრასთან დაკავშირებით“ და თვლის, რომ **„ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ მისი განცხადებაც კრემლის გეგმებზე მიუთითებს, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს დააჯახოს“.**

— ეს რუსეთს საშუალებას მისცემს, სამხრეთ კავკასიაში საკუთარი დომინანტური მდგომარეობის განმტკიცებისთვის სამხედრო გეგმა მოქმედებაში მოიყვანოს, — განმარტავს ექსპერტი და აქვე დასძენს, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთი შეეცდება, ამ კონფლიქტში საქართველოც ჩაითრიოს, რასაც შესაძლოა, აღმოსავლეთ რეგიონების ოკუპაცია დაემატოს, მით უმეტეს, რომ ასეთი სურვილი რეგიონში არა მარტო რუსეთს გააჩნია.

სამხედრო ექსპერტ პაველ ფელგენგაუერის თქმით, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მხარეები ომისთვის აქტიურად ემზადებიან, თუმცა ომის მიმდინარე წელს დაწყება ნაკლებ სავარაუდოა.

**— ევროკავშირიც და რუსეთიც იმ პოზიციიდან გამოდიან, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა საომარი მოქმედებების განახლება გამოირიცხოს და თუ ამ პროცესში რუსეთი კონფლიქტის ზონაში საკუთარ სამშვიდობოებს განათავსებს, ეს მისთვის, რა თქმა უნდა, კარგი იქნება,** — აცხადებს ექსპერტი და აქვე დასძენს, რომ რუსეთს ეს ჯერ კიდევ 1994 წლიდან სურდა.

მისივე თქმით, „ამჟამად რაიმე სახის მშვიდობიან შეთანხმებაზე საუბარიც კი ზედმეტია, რადგან არც ერთი მხარე მზად არ არის, სერიოზულ და პრინციპულ დათმობაზე წავიდეს“.

**გვანცა დიდებაშვილი.**
**„პირველი“**

◎ დაქუცმაცებული საქართველო

# კოკოითი რუსეთისკენ იწევს, მაგრამ ხალხი არ მიჰყვება

**რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის გუშინწინდელმა განცხადებამ ქართულ საზოგადოებაში ერთგვაროვანი რეაქცია და ბუნებრივი პროტესტი გამოიწვია.**

**„თქვენ კარგად იცით, როგორი იყო რუსეთის რეაქცია და როგორი მხარდაჭერა გამოვხატეთ, როდესაც საქართველომ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო აგრესია დაიწყო. მომავალი თავად ოსებზეა დამოკიდებული,“** — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა ორშაბათს, ახალგაზრდული ფორუმის, „Селигер-2011“-ის ახალგაზრდა მონაწილეებთან შეხვედრისას, როდესაც მათ პუტინს ჰკითხეს, შესაძლებელია თუ არა, „სამხრეთ ოსეთის“ შეერთება რუსეთის ფედერაციასთან.



პუტინის სიტყვები ამტკიცებს, რომ საქართველოს ტერიტორიების ანექსია დასაწყისშივე იყო რუსეთის მიზანი — მიაჩნია საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს მიხეილ მაჭავარიანს. სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთი ყოველთვის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდნენ. ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ კი მხოლოდ და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში გაჩნდა, — განმარტავს ისტორიკოსი ნიკოლოზ სვანიძე.

რუსი პოლიტოლოგების ნაწილი მოგვიწოდებს, რომ არ გავიგოთ პუტინის სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით და ხაზს უსვამენ, რომ სელიგერში ნათქვამი სიტყვები წინასაარჩევნო ხასიათს უფრო ატარებს.

**„სამხრეთ ოსეთი და მისი ხალხი, რუსეთთან მაქსიმალურ ინტეგრაციაზე არიან მობილიზებულნი“,** — განაცხადა პუტინის სიტყვებით შეგულიანებულმა ედუარდ კოკოითიმ. **„ჩვენი ხალხი ისტორიულად არის ორინტირებული რუსეთისაკენ და არასდროს დაივიწყებს მოსკოვის მიერ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ისტორიულ გადაწყვეტილებას, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.“** ეს სიტყვები სამაჩაბლოს დე ფაქტო პრეზიდენტმა „ინტერფაქსთან“ საუბრისას თქვა.

**„წარსულისა და აწმყოს გათვალისწინებით, სამხრეთ ოსეთი რუსეთთან მაქსიმალური ინტეგრაციისკენ არის მიმართული. ჩემი რესპუბლიკის ხალხი, ცალსახად გამოხატავს რუსეთთან მაქსიმლურად მჭიდრო ურთიერთობის სურვილს. მიმაჩნია, რომ სამხრეთ ოსეთს თავისუფლად შეუძლია გახდეს საკავშირო სახელმწიფოს წევრი რუსეთთან და ბელორუსთან ერთად, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბელორუსი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს,“** — განაცხადა (წაიოცნებაძ კოკოითიმ.

როგორც ჩანს, კოკოითი ოფიციალური მოსკოვის წინაშე ბოლო გაფართხალებას ცდილობს. მას რამდენიმე თვეში პრეზიდენტობის ვადა ეწურება და გამორიცხული არ არის, კრემლში გადაბარგებას უმიზნებდეს. თუ გავრცელებულ ხმებს დავუჯერებთ, ნახევარ დროზე მეტს მაინც, მოსკოვში ატარებს.

**„სამხრეთ ოსეთი, რუსეთთან შეერთებას არ გეგმავს. ჩვენ რაღაც პოლიტიკური დინებების სასარგებლოდ, თავისუფლების გაცვლას არ ვაპირებთ,“** — ეს კომენტარი კი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ელჩს რუსეთში, დიმიტრი მედოევს ეკუთვნის.

**„ჩვენმა ხალხმა, 2006 წელს ჩატარებული რეფერენდუმით, გამოხატა თავისი არჩევანი და აირჩია თავისუფლება. რუსეთის ფედერაციის ნაწილად გახდომის არნაირი გეგმა არ გვაქვს. აქ საუბარი ინტეგრაციასა და რუსეთ-ბელორუსიის საკავშირო სახელმწიფოში შესვლაზეა“,** — დასძინა მედოევმა და დაამატა, რომ ამ საკავშირო სახელმწიფოში სხვა ქვეყნებსაც შეუძლიათ შესვლა.

მედოევისვე განცხადებით — **„სამხრეთ ოსეთის მოქალქეების უმრავლესობას ორმაგი მოქალაქეობა აქვს, თუმცა, რუსეთის ფედერაციაში შესვლის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება არ იგეგმება“.**

**ნინო მამუკაძე,**
Presa.ge




◎ SIC!

# პირველი მსხვერპლი იყო ძროხა!

## სოფელი აიბღა - რუსულ-აფხაზური „განხეთქილების ვაშლი“

**რუსეთისა და აფხაზეთის ე.წ. საზღვართან მდებარე სოფელი აიბღა, სოხუმსა და მოსკოვს შორის სერიოზული დაპირისპირების საგანი კვლავ ხდება. „პრესა.გე“ უკვე წერდა, რომ სოფლის ნაწილს, რომელიც სოჭის მხარესაა მოქცეული (აიბღას მდინარე ფსოუ შუაზე კვეთს), რუსეთი იჩემებს, მაშინ როცა აფხაზები აცხადებენ, რომ ეს მათი ტერიტორიაა.**



აიბღას თემა დაახლოებით ერთი თვის წინათ გააქტიურდა. მაშინ ითქვა, რომ მოსკოვის „ტერიტორიული მადა“, ამ სოფელთან მიმართებაში, სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით გაძლიერდა, რადგანაც სოფელი ახლოსაა ოლიმპიადის ეპიცენტრთან და ამიტომ კრემლისთვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ზონას წარმოადგენს. სწორედ ამ ინტერესებს დაუკავშირეს მაშინ რუსული საინფორმაციო პოლიტიკა, კერძოდ, მედიაში, ფართოდ გაშუქება სოფელ აიბღას მცხოვრებთა წუხილისა იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზებისგან შევიწროებული აიბღას მკვიდრნი, სოფელში, სასწრაფოდ, კრემლის იურისდიქციის აღდგენას ითხოვდნენ.

აღნიშნული თემა რუსეთ-აფხაზეთის ე.წ. საზღვრის სადემარკაციო კომისიის სხდომაზე დიდი ხანია აქტუალურია, თუმცა ვისია აიბღა, სოხუმმა და მოსკოვმა, სწორედ აფხაზების წინააღმდეგობის გამო, ჯერ ვერ გადაწყვიტეს.

რუსეთსა და აფხაზეთს შორის „სადემარკაციო გაუგებრობის“ მსხვერპლი კი, ამ დღეებში, ძროხა გახდა, რის გამოც აღშფოთებულმა აიბღელებმა (26 ადამიანმაძ წერილით თავად დიმიტრი მედვედევს მიმართეს. ისინი თავს რუსეთის მოქალაქეებს უწოდებენ და პრეზიდენტს აფხაზებისგან დაცვას და სოფელში რუსეთის სასაზღვრო საგუშაგოს გახსნას სთხოვენ. მოსახლეობა ამბობს, რომ მათ აფხაზები ხშირად აწუხებენ, სოფლიდან გააქვთ ხე-ტყე, ათვალიერებენ გრანიტის საბადოებს, რომ აფხაზებმა უკვე ჩადგეს თავისი სასაზღვრო პუნქტი და ადგილობრივებისგან სოფლის მცხოვრებთა და მათ სავარაუდო სტუმართა სიებს ითხოვენ.

ადგილობრივები ჩივიან, რომ **„აფხაზების საქციელი პირდაპირ ემუქრება რუსეთის მოქალაქეების ეკონომიკურ ინტერესებს. პირველი მსხვერპლი კი იყო ძროხა, რომელთანაც აფხაზმა მესაზღვრეებმა არ მიუშვეს ადლერიდან ჩამოსული ვეტერინარები, რადგან სოფელში შესასვლელად მათ არ ჰქონდათ სოხუმში გაცემული საშვი. ეს სერიოზული პრობლემაა: ჯანმრთელი ძროხა, ეს არის რძე, არაჟანი, კარაქი, ხაჭო და ყველი. ამიტომაც, გთხოვთ, გაერკვეთ სიტუაციაში და გადაჭრათ სადაო ტერიტორიის საკითხი“** — წერენ აიბღელები მედვედევს.

გახდება თუ არა რუსული ძროხის დაღუპვა მედვედევის განსაკუთრებული რეაგირების საგანი, ჯერ უცნობია. თუმცა ფაქტია, რომ ის გადაუჭრელი თემები, რომლებიც დღემდე სოხუმი-მოსკოვის ჰარმონიას არღვევდა, ნელ-ნელა სწორედ რუსეთის ინტერესების შესაბამისად გვარდება. ამის მიზეზი მოსალოდნელი არჩევნებია, რომლის წინაც კრემლის განრისხება არც ერთი კანდიდატის ინტერესებში არ შედის.

**თეა ინასარიძე,**
Presa.ge

ⓞ აცრილები

# „შემხაპუნება“...

## საქართველოს მოსახლეობის სრული იმუნიზაცია

დიდი მადლობა ამერიკის მთავრობას!

დიდი მადლობა ევროპულ სტრუქტურებს!

დიდი მადლობა ყველა საერთაშორისო უფლებადამცველ და საერთოდ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას!

ვაშა!

რაო, არ ელოდით, ხომ ჩემგან ასეთ პათოსს?

არ ელოდით ამ სამადლობელ სიტყვებს, რომლებიც მრავალგზის შეშფოთებული, შეწუხებული და ქართული სიცხისგან შელონებული, ჩვენი „პარტნიორების“ მისამართით დავწერე?

ეკუთვნით! დიახ, ეკუთვნით, რადგანაც მათ საქართველოს მოსახლეობას ამ რვა წლის წინათ იმუნიზაცია და ვაქცინაცია ჩაუტარეს.

ვისაც არ ახსოვს, თუ რას ნიშნავს ტერმინები „იმუნიზაცია“ და „ვაქცინაცია“, იმათთვის მცირე განმარტებას გავაკეთებ.

> **„იმუნიზაცია და ვაქცინაცია პროფილაქტიკური (პრევენციული) ღონისძიებების სისტემებს წარმოადგენენ.**
>
> **ისინი მიმართულნი არიან ზოგიერთი ინფექციური დაავადებების თავიდან აცილებისა და დაავადებათა ზემოქმედების რისკის შემცირებისკენ.**
>
> **ხანგრძლივი იმუნიტეტის შექმნა შესაძლებელია ვაქცინაციის მეშვეობით.**
>
> **ვაქცინის შეყვანას აცრა ეწოდება“.**

კიდევ ვერ მიხვდით?

კარგი, მაშინ პირდაპირ ვიტყვი, რომ ჩვენმა დასავლეთელმა მეგობრებმა, ამ რვა წლის წინათ „კაი აცრა გაგვიკეთეს“, ანუ საქართველოში შემოიყვანეს ისეთი სახის ვირუსები, როგორებიც არიან „საქართველოს პარლამენტი“, „საქართველოს მთავრობა“, „ქართული პოლიტიკური სპექტრი (საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციაძ“, ადგილობრივი თვითმმართველობა, ტელევიზიები, ეკონომიკური წინსვლები, ომებში გამარჯვებები, წარმატებული სოფლის მეურნეობა და მრავალი სხვა.

სწორედაც რომ შემოიყვანეს და, როგორც წესი, ეს ვირუსები ნელ-ნელა და მცირე დოზებით „შემოგვაპარეს“.

„შემოგვაპარეს“ და მითრიდატე ევპატორის არ იყოს, ნელ-ნელა შეეჩვია საქართველოს მოსახლეობა ამ შხამს.

ისე კარგად შეეჩვია და უკვე ისეთი იმუნიტეტი გამოიმუშავა, ხვალ ხელისუფლებამ რომ დააწესოს, ყოველდღე პარლამენტთან, კანცელარიასთან ან ავლაბრის რეზიდენციასთან მოდით და „პოლიხრონიონ“ იმღერეთო, გაძვირებული „მარშრუტკებით“ კი არა, ფეხით გაიქცევიან და „ქართული მრავალხმიანი სიმღერის ტრადიციების“ სრული დაცვით აღუვლენენ ხოტბას დასავლეთიდან „შემოვაქცინებულ ბაქტერიებს“.

ახლა ვიღაც მეტყვის, შენ ვინ მოგცა უფლება ასეთი ტონით რომ ლაპარაკობ და მით უმეტეს წერილს წერო.

ვინ მომცა უფლება და იმ ხალხმა, რომლებიც დილით სახლიდან იმიტომ გამოდიან, რომ ორი კაპიკი იშოვონ, და შემდეგ ის გაჭირვებით ნაშოვნი ორი კაპიკი, ამ ხელისუფლებას სხვადასხვა ტიპის გაზრდილი გადასახადის სახით უნდა გადაუხადონ.

ვინ მომცა უფლება და იმ ხალხმა, რომლებიც ბათუმის იუსტიციის სახლის წინ „აიდი“ ზარათის „პატივსაცემად“ გამართულ კონცერტზე იჭყლიტებიან, მაშინ, როცა მათი თანატოლების სისხლის კვალი, ისევ ამჩნევია ასფალტს.

იმ ხალხმა, ვინც ავტობუსის გაჩერებაზე „ვითომ ვერ ვხედავ“ სახით დგანან და მოციმციმე ტაბლოს უყურებენ მაშინ, როცა სკოლის მოსწავლეს ყვითელ ქურთუკში გამოწყობილი, პოლიციიდან გამოგდებული, ზარმაცი მამაკაცი (ან დედაკაციძ, ყოველგვარი კანონის დარღვევით აჯარიმებს (ზარმაცი იმიტომ ვუწოდე, რომ ეგ „ყვითელქურთუკიანები“ ყანაში რომ გაუშვა, ერთ ჰექტარ მიწას, ნახევარ საათში გათოხნიან, მაგრამ საქმის კეთებას „კონტროლიორობა“ არ ჯობია?ძ.

იმ ხალხმა მომცა უფლება, რომლებიც „ექსპერტობას“, ან „უფლებადამცველობას“ იბრალებენ, სხვადასხვა სახის გრანტებს ჩალიჩობენ და რეალურად ერთ ადამიანსაც კი არ ეხმარებიან.

იმ ხალხმა მომცა უფლება, ვინც ...

კიდევ გავაგრძელო?

გავაგრძელო კონფორმისტების, ე.წ. „ცნობადი სახეების“, ერთკაციანი და ერთკვირიანი პარტიების მფლობელი პოლიტიკანების, ვითომ ბიზნესმენების და ვითომ მოღვაწეების ჩამოთვლა?

მე მგონი, ეგ ყველამ ისედაც კარგად იცით.

ასე რომ, უფლება მაქვს (სხვათა შორის, თქვენც გაქვთ ეს უფლება. რადგანაც ზემოთ ჩამოთვლილმა ხალხმა ყველას „გვცეს პატივი“).

რაც შეეხება იმუნიზაციას და ვაქცინაციას.




რაც მართალია, მართალია, შესანიშნავად იმუშავა ამერიკელების მიერ გაკეთებულმა „აცრებმა“.

„აცრები“ მრავლობითში იმიტომ დავწერე, რომ ყველა სფეროს თავისი „ვაქცინა“ გააჩნია – სოფლის მეურნეობას თავისი, ეკონომიკას თავისი, განათლებას, ტრანსპორტს, კულტურას, ჯანდაცვას თავისი და ა. შ.

მოკლედ რომ ვთქვა, ყველა სფეროს თავისი „შემხაპუნება“ ჭირდება.

არადა არანაირი უკუჩვენება არ ყოფილა.

უკუჩვენება, კი არა, პირიქით.

პოლიტიკა რა სათქმელია, როცა ისეთი „მაგარი ვაქცინა“ გამოიყენეს სოფლის მეურნეობაში, რომ საქართველოს მოსახლეობაზე, არავითარი გენმოდიფიცირებული პროდუქტი აღარ მოქმედებს.

ტურიზმთან დაკავშირებით, ცოტა „იალღიში“ მოხდა. ამ „ლეღვის ნახარშმა“ „ვერ გაამართლა“, თორემ „გაზაგრულების“ რაოდენობით ცენტრალური აფრიკის ნებისმიერ ქვეყანას ვაჯობებდით.

ისე, რა მაგის პასუხია, და ამ სახელისუფლებო ტელევიზიების შოუებმა, ერთი კარგი საქმე გააკეთეს.

დიახ, ნამდვილად კარგი საქმე, რადგანაც, თუ იმ შოუებზე დამსწრე „საზოგადოებას“ გადახედავთ და მათს ინტელექტს შეაფასებთ, ადვილად მიხვდებით, რომ ყველა ისინი, „ლეღვის ნახარშით“ გარუჯვის პოტენციური „მსხვერპლნი“ იყვნენ, მაგრამ ტელეგადაცემის ჩაწერაზე უფასოდ მოხვედრის სურვილმა, „გარუჯვის პროცედურა“ გადაადებინათ და ამის გამო „ბეწვზე გადარჩნენ“ (ისე ამერიკელების მიერ შემოტანილი „ტელევაქცინა“ რომ ყველაზე საუკეთესოა, რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი).

თავისუფლად შემიძლია, რომ კიდევ ჩამოვთვალო ის უამრავი „დადებითი“ შედეგი, რაც საქართველოში „ამერიკულმა იმუნიზაციის“ პროგრამამ მოიტანა.

შემიძლია ვილაპარაკო იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც ქუჩაში „ზასაობას“ აპროტესტებენ და ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ახლოსაც ვერ უახლოვდებიან.

შემიძლია ვილაპარაკო იმ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებზე, რომლებიც ერთსქესიანი ქორწინების დასამკვიდრებლად იბრძვიან (არადა, ეს ოხერი, თუ ამ „მებრძოლებს“ უბრალოდ თვალს შეავლებ, ადვილად მიხვდები: იმიტომ იბრძვიან ამ „ერთსქესიანი ქორწინებისთვის“, რომ თვითონ ნორმალური არაფერი შეუძლიათ და ამ „ბრძოლის“ მეტი არაფერი დარჩენიათ ცხოვრებაში).

შემიძლია ვილაპარაკო ინგლისური ენის სწავლების იმ „ნოვაციებზე“, რაც „ტიტრების“ შემოღებასა თუ ავსტრალიელი და კანადელი მწყემსების პედაგოგებად „განწესებაში“ აისახა.

შემიძლია ვილაპარაკო იმაზე, თუ როგორ „ამტკიცებენ“ „ქართულ“ ტელეკომპანიებში გასული ამერიკული ფილმები იმას, რომ მეორე მსოფლიო ომი ამერიკელებმა და კერძოდ რიგითმა რაიანმა მოიგესო.

რაღა დაგიმალოთ და ამ „ვაქციინის“ შედეგი ყველამ ნახა. ნახა მაშინ, როცა წაგებული ომის მეორე დღეს, გამარჯვებისადმი მიძღვნილი უზარმაზარი ზეიმი გაიმართა რუსთაველზე.

ზეიმი კი არა, ამ „გამარჯვებასთან“ დაკავშირებით, ისეთი ფილმი „გამოცხვა“ და ისეთი პიარი გაუკეთდა, რომ „ჯარისკაცის მამა“ ყველას დაავიწყდა (თუმცაღა როგორ არ დაავიწყდებოდა, როცა ნამდვილი გამარჯვებისადმი მიძღვნილი მემორიალი ააფეთქეს და გმირთა მოედანზე ომის ვეტერანები სასტიკად დაარბიეს).

შემეძლო მელაპარაკა მთავარ იმუნოლოგ ჯონ ბასზე.

გაძვირებული ტრანსპორტით შევსებულ ბიუჯეტზე და იმ ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ბათუმურ კონცერტებზე (იმ კონცერტებზე, რომლებსაც „კარგი ადგილებიდან“ მხოლოდ კარგად „აცრილები“ უსმენენძ.

> **კიდევ ბევრი „დადებითი შედეგი“ შემეძლო გამეხსენებინა, მაგრამ მართალი გითხრათ, ჯერ ერთი მაგრად ცხელა, მეორეც მეზარება და მესამე – რა, თქვენ ვერ ხედავთ რომ საქართველოს მოსახლეობის სრული იმუნიზაცია წარმატებით განხორციელდა?**
>
> **რომ ამის შემდეგ აღარაფერი შეგვაწუხებს?**
>
> **ჰოდა, ამიტომ ვიმეორებ:**
>
> **დიდი მადლობა ამერიკის მთავრობას!**
>
> **დიდი მადლობა ევროპულ სტრუქტურებს!**
>
> **დიდი მადლობა ყველა საერთაშორისო უფლებადამცველ და საერთოდ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას!..**

**გია გაბრიჭიძე**

ⓞ ვაი ომისაგან

# რა რეაქციას ველოდებით აფხაზებისა და ოსებისგან, მაშინ როცა მათ მარიონეტებს ვექახით?

**– ბევრი სერიოზული ბარომეტრით, სიტუაცია არის გაცილებით უარესი, როგორც უსაფრთხოების თვალსაზრისით, ისე იმის გამო, რომ საქართველოში დევნილთა ახალი ტალღა გაჩნდა. გარდა ამისა, უარეს სიტუაციაში ვართ ჩვენს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების განთავსების რაოდენობის კუთხით. 2005 წლის მაისის გადაწყვეტილებით, გუდაუთის გარდა საქართველოს დანარჩენი ტერიტორიიდან გაყვანილი იყო რუსული ბაზები. აგვისტოს ომის შემდეგ კი აქ უფრო მეტი რაოდენობის რუსი სამხედრო დამკვიდრდა, – განუცხადა კონფლიქტოლოგმა გოგი ხუციშვილმა „ჯი-ეიჩ-ენს“.**

მისი შეფასებით, ერთადერთი პოზიტიური დინამიკა, რაც 2008 წლის აგვისტოს ომს მოჰყვა, ის არის, რომ რუსეთმა თავისი თავი გამოააშკარავა და მსოფლიოში მისი როლი გამოავლინა.

– ამის გამო იყო მოლოდინი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა სხვა პოლიტიკას ჩამოაყალიბებდა რუსეთის მიმართ, რაც დეოკუპაციაში დაგვეხმარებოდა, თუმცა ამას ნამდვილად ვერ ვხედავთ. პირიქით, ვხედავთ გადატვირთვის პოლიტიკას ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, ვხედავთ ძალთა გადანაწილებას ევროპაში იმის სასარგებლოდ, რომ რუსეთთან კონსტრუქციული და პარტნიორული ურთიერთობები ააწყონ (განსაკუთრებით ისეთი წამყვანი ქვეყნების მხრიდან, როგორებიცაა საფრანგეთი და გერმანიაძ, – განმარტა კონფლიქტოლოგმა.

ხუციშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით არსებული საკუთარი პოლიტიკა უნდა შეცვალოს და, ფაქტობრივად, ახალი სტრატეგია შეიმუშაოს.

– საქართველოს ხელისუფლების მიერ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ შემუშავებული სახელმწიფო სტრატეგიის შინაარსი (მართალია, სახელწოდება არამომგებიანად იყო ჩამოყალიბებულიძ პოზიტიურ მომენტებს მოიცავდა. ის იყო გაწვდილი ხელი, აღიარება იმისა, რომ საჭიროა დიალოგი, საჭიროა სახალხო დიპლომატია, კომუნიკაცია არა მხოლოდ საზოგადოებებს შორის, არამედ ხელისუფლებებს შორის, თუმცა, ამის მიუხედავად, აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობაში მივიღეთ უკანსვლა – ხელისუფლების არსებული პოლიტიკითა და ბოლო პერიოდში მიღებული სხვა დოკუმენტებით, სტრატეგიის დოკუმენტის გადახაზვა მოხდა. ახლა უკვე, პრაქტიკულად, თავიდან უნდა დავსახოთ სტრატეგია, რაც ნაკლებსავარაუდოა, რომ აფხაზებისა და ოსებისთვის მისაღები იქნება მაშინ, როცა საქართველო მხოლოდ ერთ მხარესთან – რუსეთთან კონფლიქტს აღიარებს. რა თქმა უნდა, აგვისტოს ომის შემდეგ ჩვენი მთავარი პრობლემა უკავშირდება მოსკოვს, მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ გაქვს მოუგვარებელი კონფლიქტები აფხაზებსა და ოსებთანაც. რა რეაქციას ველოდებით მათგან, როცა მათ მარიონეტებს ვექახით? – დასძინა ხუციშვილმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**



გლობუსი

# ლანძღვა-გინებით ფონს ვერ გავალთ

## სააკაშვილის ხელისუფლებისგან რუსეთის „დამცირება“ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

**ფოტოგრაფთა ჯაშუშობის ისტორიას უმალ მოჰყვა საქართველოში განხორციელებული ყველა ტერაქტის (მათ შორის აშშ-ის საელჩოს ღობესთან) სულისჩამდგმელის — რუსეთის გინების ახალი ტალღა. განახლებული ძველი ისტორიის მთავარი რეანიმატორი ამერიკულ გაზეთებში „ვაშინგტონ ტაიმსში“ და „ნიუ იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული სტატიები გახდა. გაზეთები საელჩოსთან მოწყობილ ტერაქტში რუსული სპეცსამსახურების კვალს ხედავენ და დასტურად ინკოგნიტო „ოფიციალური“ პირის განცხადება მოჰყავთ.**

**მეტი რა გზაა — უნდა დავიჯეროთ, ასე სურს საქართველოს ხელისუფლებას, თანაც ჩვენს დაჯერებასთან ერთად ევროპელთა დაჯერებაც სწადია, რის შესახებაც პირდაპირ ითქვა ხელისუფალთა წარმომადგენლების მოკლე სატელევიზიო ინტერვიუებში.** დავიჯერებთ თუ არა ჩვენ ან ისინი ჩვენი და მათი საქმეა. მედიისადმი სერიოზული ეჭვი, მედიამაგნატ მერდოკის საგმირო საქმეების შემდეგ გაჩნდა. თუ ამას დავუმატებთ თვით აშშ-ის სახელმწიფო სამდივნოს პრესასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლის განცხადებასაც (მან არასერიოზულად ჩათვალა საგაზეთო სტატიებზე ყურადღების გამახვილებაძ საზოგადოების სკეპტიციზმი უფრო მეტ საფუძველს იძენს. ტელეჟურნალისტების მიერ ამერიკის ელჩ ბასისგან აღებული ინტერვიუც ქართული ინტერპრეტაციის გარეშე შორს არის რუსეთის ტერორიზმში დადანაშაულებისგან. მან ამერიკა-რუსეთის გადატვირთვის პროცესზე ილაპარაკა და ისიც აღნიშნა, რომ ურთიერთობის გაუმჯობესება არ ხდება საქართველოს ხარჯზე. არც ერთი სიტყვა რუსეთის ტერაქტზე.

ქვეყნებს შორის პოზიტიურ ურთიერთობებთან ერთად არსებობს ნეგატიურიც, თუმცა ის ხელს არ უშლის საერთო საქმის წარმატებას. ვაშინგტონს საკუთარ მოკავშირეებთანაც აქვს უთანხმოება და რა გასაკვირია, რომ არამოკავშირე რუსეთთან ჰქონდეს ასეთი. საქმეში ჩახედულისთვის აშშ-ში არც მოკავშირეთა ჯაშუშების არსებობაა გასაოცარი, ან პირიქით. სახელმწიფოთა ინტერესები მოითხოვს ამას. გახსოვთ ალბათ გაგანია გადატვირთვის პროცესში ამერიკელთა მიერ რუსული ჯაშუშური ქსელის გამომზეურება, თუმცა ამას არც გადატვირთვა შეუჩერებია და არც ცივი ომი გამოუწვევია. ერთკვირიანი მედიური ლაპარაკის შემდეგ ამბავი ისტორიას ჩაბარდა.

ცხადია ტერორისტული აქტის აუთენტურობის შემთხვევაში ოფიციალური ვაშინგტონის რეაქცია სხვაგვარი იქნებოდა, ისეთი, რომელიც თუ წერტილს არ დაუსვამდა გარკვეული პერიოდით შეაჩერებდა გადატვირთვის პროცესს. ამ შემთხვევაში აუცილებლად იქნებოდა სახელმწიფო მდივნის, კლინტონის განცხადება, თუნდაც ისეთი, რასაც ადგილი ჰქონდა დამასკოში აშშ-ის საელჩოზე თავდასხმის შემდეგ. მაგრამ ამას თბილისის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. გაზეთებში აღნიშნულია რომ, ვიღაც „ოფიციალური“ პირი ამბობს, რომ კლინტონი ორჯერ ელაპარაკა ლავროვს, მაგრამ ვინმემ იცის რა თემაზე? კლინტონი-ლავროვის პირდაპირ საუბარს არავინ ესწრება.

ქართველ პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა ვერდიქტი მკაცრი იყო. განსაკუთრებით აქტიურობდა არანაციონალური ასაკის პოლიტოლოგი გაბისონია, რომელმაც რუსეთი ისეთ დამნაშავედ ცნო, წყალი რომ არ გაუვა. მან თვალი „აუხილა“ ევროპასაც და ქართულ საზოგადოებასაც რუსეთის მზაკვრობაში.



ყოველდღიურ პრობლემებში ჩაფლული საზოგადოება, რომლის უმთავრესი ამოცანა საკუთარი თავისა და ოჯახის გადარჩენაა, ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამერიკის საელჩოს ბეტონის კედელთან რუსი ააფეთქებს ბომბს თუ არა. **მისთვის მთავარია შიმშილის აფეთქებისგან იხსნას თავი. გარდა ამისა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში „შპიონური“ ისტორიები აღარ იწვევს გაკვირვებას ან აღშფოთებას, ვინაიდან შეეჩვია მსგავს სპექტაკლებს. პერმანენტულმა ჯაშუშომანიამ გააინდიფერენტულა ხალხი.**

ლოგიკური აზრის მატარებელი საზოგადოებისთვის ცოტათი დაუჯერებელია ტერორიზმის სისტემატური მსხვერპლის — რუსეთის მიერ ტერორისტული აქტის განხორციელება, თანაც აშშ-ის წინააღმდეგ — ვისთანაც ერთად ებრძვის მსოფლიო ტერორიზმს.

რა მიზანს ემსახურებოდა საელჩოს შენობიდან გვარიან მანძილზე დაშორებულ ბეტონის კედელთან ბომბის აფეთქება? ამით რა, რუსეთს უნდოდა საქართველოს უსუსურობის გამოაშკარავება? განა ამ აქტის გარეშეც არ იცის ამერიკამ რას წარმოადგენს საქართველო? ვიდრე ამ კითხვებს პასუხი არ გაეცემა, სატელევიზიო „შპიონომანიის“ ჭეშმარიტება ძნელად დასაჯერებელი იქნება.

ამ ისტორიის გამპიარებელმა პარლამენტარმა დიდმნიშვნელოვნად ისიც თქვა, რომ ამერიკული გაზეთების სტატიები მესიჯი უნდა იყოს ევროპისათვის და ხელი უნდა შეუწყოს მის გამოღვიძებას. ევროპელებს ამ ორი გაზეთის გამოსაღვიძებელი არაფერი სჭირთ. ისინი კარგად ხედავენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, აშშ-ში შექმნილ მძიმე საფინანსო-ეკონომიკურ და, რაც მთავარია, პოლიტიკურ ვითარებას, ხედავენ იმასაც, რამდენად სასარგებლოა მათთვის რუსეთთან კავშირები. ევროპას ჰაერივით ესაჭიროება რუსული გაზი და ნავთობი, სხვა ეკონომიკური კავშირები. სულ მალე ამოქმედდება ევროპისათვის რუსული გაზის მიწოდების პირდაპირი ხაზი — „ჩრდილოეთის ნაკადი“. რამდენიმე წელიწადში მას „სამხრეთის ნაკადიც“ დაემატება. ამ და სხვა კავშირების შემხედვარე ევროპა გაიზიარებს გაბისონიას რჩევას — ევროპის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ბლოკადის დაწესების თაობაზე? დავუშვათ მოხდა ასეთი რამ — მაშინ როგორ წარმოუდგენია პოლიტოლოგს ვეებერთელა რუსეთის იზოლაციაში მოქცევა? ან დღემდე არსებულმა რომელმა ბლოკადამ — კუბის, ჩრდილოეთ კორეის, ბირმის, ირანის, სხვა ქვეყნების — გაამართლა? ჩვენზე უფრო გამოცდილმა და გონებაგახსნილმა ევროპამ უკეთ იცის, რომ რუსეთთან კავშირების გაწყვეტა თვითმკვლელობის ტოლფასია.

ეკონომიკური ბლოკადა არც ჩვენთვის არის უცხო ხილი. **დამოუკიდებლად არსებობის 20 წლის მანძილზე ბლოკადის „სიკეთეები“ აფხაზეთსაც ვაწვნევინეთ. აფხაზეთში ომის სამარცხვინოდ დამთავრების შემდეგ შევარდნაძემ გაუგებარი ნაბიჯი გადადგა — შევიდა რა დსთ-ში. ბევრი იმასაც ამბობდა — ადრე შესულიყო — ომს გადავრჩებოდითო. შევარდნაძის ნაბიჯში, ერთი შეხედვით გაუგებარში, იყო მთავარი — შურისძიება, აფხაზეთის, ბლოკადით დასჯა. ამისთვის კი დსთ-ს წევრობა იყო საჭირო.** ასეც მოხდა. საქართველოს ხელისუფლების სურვილისდა მიხედვით დსთ-მ ბლოკადა დაუწესა აფხაზეთს. აფხაზები მრავალი წლის განმავლობაში, 2008 წლის აგვისტოს ომამდე, ბლოკადაში იმყოფებოდნენ. პოლიტიკურმა პრიმიტივიზმმა არ გაჭრა. ბლოკადაში მოქცეულმა თითის სიგრძე აფხაზეთმა გაძლო, უკიდეგანო რუსეთი წაიქცევა? **ვის მოუვა თავში, გარდა ქართველისა, ბირთვული სუპერ სახელმწიფოს იზოლაცია? — ალბათ არავის. ამის გაფიქრებაც კი ღიმილის მომგვრელია. რუსეთი არა მარტო შეიარაღებით ან მდიდარი წიაღისეულით არის გამორჩეული, ბოლო წლების ეკონომიკური აღმავლობითაც. მართალია საერთო ეროვნული პროდუქტის წარმოების ტემპით ის ჩამოუვარდება ჩინეთს, მაგრამ პირველია „დიდ რვიანში“. რუსეთის ავტორიტეტული პოზიცია თვალშისაცემია არა მარტო „ბრიჩის“ ქვეყნებში (ბრაზილია, რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი), არამედ ოცეულშიც. ექსპერტთა სამომავლო გათვლები არ პროგნოზირებს ამ ქვეყნის ეკონომიკური სურათის გაუარესებას, პირიქით. აქედან გამომდინარე დროა, შევეშვათ აბსტრაქტულ ოცნებას, გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები და გადავდგათ ის ნაბიჯი, რომელიც წაადგება ქვეყანას. მარტო ლანძღვა-გინებით ფონს ვერ გავალთ.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ემიგრაცია

**ივნისის ბოლოს „დიდი ვაშლის ქალაქის“ ცენტრში უკვე 26-ედ „ემიგრანტთა საერთაშორისო ფონდის“ ორგანიზებით ემიგრანტთა საერთაშორისო აღლუმი ჩატარდა. ამ აღლუმში უკვე მესამე წელია მონაწილეობას ქართველებიც იღებენ. წელს ამ ხალხმრავალი ღონისძიების „მოთხოვნა“ გახლდათ ის, რომ ნიუ იორკში მცხოვრებ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს თავიანთი ტრადიციული სამოსი, მუსიკა და ცეკვა უნდა წარედგინათ. იმ დღეს მანჰეტენი ძალიან ხმაურიანი იყო, ქართულ დროშებთან ერთად სხვა ქვეყნის დროშებიც ფრიალებდა, მულტიკულტურალიზმს ანუ, ჩვენებურად, ერთად ყოფნასა და ნიუ იორკელობას ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი დიდი თუ პატარა თავის ენაზე სიმღერით აღნიშნავდა.**

* * *

# ნიუ იორკის ქართული ზაფხული

ივლისის შუა რიცხვებში წმინდა ქალწულის მფარველის საკათედრო ტაძრის მხარდაჭერით ქართველ ხელოვანთა ხელით ნაკეთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. ყოველ კვირა დღეს ქართველების ნამუშევრების ჩვენება, ფაქტობრივად, უკვე ტრადიციად იქცა. მარი ციყელაშვილი პროფესიით ჟურნალისტია. კერვა, ქარგვა, ქსოვა და სამკაულების კეთება ყოველთვის იყო მისი ჰობი. ახლა კი ეს ჰობი სერიოზულ საქმედ, ბიზნესად გადაიქცა. გამოფენის პირველ დღეს სწორედ მარის ორგანიზებით შეიკრიბნენ ქართველი მხატვრები ნინო ქურდაძე, დარეჯან ადამაშვილი, ნინო წერეთელი და თავიანთი ნაკეთობები გამოფინეს. ქართველების ხელოვნებით ბევრნი დაინტერესდნენ. იყიდეს კიდეც. მსოფლიოში ხელნაკეთი, საცალო ყველგან ფასობს. სწორედ ამგვარი ქართული ნაწარმის „პრომოუშენისთვის“ შექმნა მარიმ ვებგვერდი www.mluxueris.gom, სადაც გარდა ამერიკაში მცხოვრები ქართველებისა, ამჟამად საქართველოში მყოფთა ნაკეთობებიცაა განთავსებული. ვებგვერდის შემქმნელის მიზანიც სწორედ ქართული პროდუქციის ექსპორტია. მარის მისი თანამემამულეები თავიანთ ნაკეთობებს თბილისიდანაც უგზავნიან. ვებგვერდის საშუალებით, ბუნებრივია, ქართველ ხელოვანთა ნამუშევრების დათვალიერება, მათი შეძენა და სახლში ტრანსპორტირებაა შესაძლებელი. აქაა ნუკრი აბაზაძის სკულპტურები; ნინო წერეთლის თექა და სამკაულები; ნინო ქურდაძის სამკაულები; მარი ციყელაშვილის სამკაულები,



ნაქსოვები; ნინო როსტომაშვილის ტიხრული მინანქარი; სოფო იმერლიშვილის გამხმარი ყვავილებიანი მისალოცი ბარათები; მიხეილ აბრამიშვილისა და დარეჯან ადამაშვილის თოჯინები.

* * *

12 წელია ნიუ-იორკში Midtown International Theatre Festival ტარდება. წელს ამ ფესტივალის ფარგლებში რეჟისორ რამაზ ზურაბაშვილის მიერ წარმოდგენილი იყო ლია ბახტურიძე-სირელსონის დრამა „სარკე“. ლიამ თავის მეუღლესთან ვიქტორ სირელსონთან ერთად ნიუ იორკში პირველი ქართული თეატრი დააარსა (2008წ. 2008 წლის 14 სექტემბერს კი ქართველმა მაყურებელმა ამერიკულ სცენაზე მის მიერ ადაპტირებული ოტია იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ იხილა. როგორც „შინაბერებში“ ასევე „სარკეშიც“ ძირითადად არაპროფესიონალი მსახიობები არიან დასაქმებულნი. „სარკის“ შინაარსი კი ისეთივე სევდიანია, როგორიც — ემიგრაცია. შეჭირვებული ოჯახის დედა, რომელიც შემოდგომის აზნაურივით თავისი გვარ-ჯილაგის არც ერთ მტკაველს არ თმობს, ცდილობს ერთადერთი ქალიშვილი ამერიკელ ქართველს, ვითომ ულსთრითგამოვლილ, ეკონომიკურად პერსპექტიულ სასიძოს მიათხოვოს. ყმაწვილს, რომლის რჩევის გარეშეც თურმე მსოფლიოში ყველაზე ცნობილ ფინანსურ ქუჩაზე „ქუვარჩასაც“ კი არ ყიდულობენ...

ია მერკვილაძე,
ჩვენი საკ. კორ.
ნიუ იორკი, აშშ

თემის გაგრძელება

# მორალურ-პროფესიული თავისუფლება რატომ არ უნდა გააჩნდეს კერძო მეცენატის მიერ დაარსებულ კონკურსის ჟიურის?!



გვესაუბრება პოეტი **ლია რუსიაშვილი**

**— ლიტერატურული კონკურსები დღეს საჭირბოროტო თემაა და სხვა კონკურსებიც არაა დაზღვეული მიკერძოებისგან, მაგრამ რატომღაც განსაკუთრებული აჟიოტაჟი მოჰყვა „საბას“ დაჯილდოებას. რატომ?**

— მარტივი ასახსნელია — იმის მიუხედავად, რომ მსგავსი ვნებათაღელვა კონკურსებს თან ახლავს, „საბას“ შემთხვევაში აჟიოტაჟი განაპირობა იმ რეალობამაც, რომ იგი, დღესდღეობით, გამორჩეული რანგის მაღალანაზღაურებადი და რაც მთავარია, პომპეზური ცერემონიალობით (კარგი გაგებით!ძ ლიტერატურული ცხოვრების წამახალისებელი კონკურსია საქართველოში.

მისი დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე არ მიეკუთვნება ბიზნესმენთა იმ კატეგორიას, რომელთათვისაც ძნელია გამოღწევა ვიწრო პირადული ჩარჩოებიდან, არამედ თავისი „საქმიანი მზერა“ საზოგადოებისთვის სულის მოსათქმელი პროექტების განხორციელებაზეც გადააქვს, რითაც ლიტერატურას ელიტური „მოქალაქეობის უფლებას“ უნარჩუნებს. ამას სამართლიანობა მალაპარაკებს, თორემ მას ჩემთვის არც წიგნი გამოუცია და არც პრეზენტაციები დაუფინანსებია. საერთოდაც, უკიდურესობების მოწინააღმდეგე ვარ — არც ის ვარგა, რომ დამსახურების გარეშე უგორებენ კოჭს ამა სოფლის ძლიერთ და არც ის, რომ დამსახურებაზე თვალი დახუჭო მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ პირმოთნეობაში არ ჩაგითვალოს.

გარდა „საბასი,“ ლიტერატურული ცხოვრების სიცოცხლისუნარიანობას ხელს უწყობს, აგრეთვე, ბიზნესმენი ზურაბ ასკანელი, რომლის ძალისხმევითაც, თუმცაღა, ბევრად მცირე მასშტაბურობით — საგურამოში, ილიაობაზე ყოველწლიურად ტარდება ილიას სახელობის პრემიით დაჯილდოების ცერემონიალი: საპრემიოდ გამოყოფილი თანხა მოკრძალებულია და არც კონკურსის ცერემონიაა ხმაურიანი, მაგრამ საგურამოს ილიაობაც (რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც გახლავთ მუზეუმის დირექტორი ანდრო ბედუკაძე და ლიტერატორი თამაზ ტყემალაძეძ ქართული მწერლობის გააქტიურებისთვის გაწეული ღვაწლია.

ხელოვნების წამახალისებელი პროცესების მიმოხილვა გვავალდებულებს „საბასა“ და „ილიაობის“ გვერდით ვახსენოთ ბიზნესმენ ალექსანდრე ებრალიძის მიერ დაარსებული „დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია,“ რომელიც გამოირჩევა იმით, რომ აქცენტირებულია ეროვნულ-ისტორიულ თემატიკაზე, რითაც ადგილს არ ტოვებს ფსევდო-ავანგარდული, ამორალური, არაჯანსაღი „ლიტერატურული მაკულატურისათვის“.

აქვე უნდა ვახსენოთ „გალას“ კონკურსი, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებითაა და იგულისხმება, რომ შესაბამისი იდეურობითა და ტენდენციურობითაა დაღდასმული, რომ არ ჩაგვითვალონ ცილისწამებად, დავიმოწმებ წლევანდელ კურიოზს, სადაც, ნომინაციაში— „წლის საუკეთესო ლიტერატურული პროექტი“ გაიმარჯვა ვინმე თოლორდავას წიგნმა, რომელიც, არც მეტი არც ნაკლები, ჯაზს შეეხებოდა: — „ვუხდი ყველა მუსიკოსს მადლობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ლიტერატურული პრემიაა“. ეს ავტორის სამადლობელი სიტყვიდანაა და თავისთავად ჩნდება კითხვა, როგორ „მოახერხა“ მან ასეთ გაუგებრობაში ამოეყო თავი, თუ „მოახერხებინეს?“ და აქ ისევ წამოიჭრება პასუხის შემცველი კითხვა: ხელისუფლებისმიერი საკონკურსო პროტოკოლის გამო, გასაგებია, რომ ჟიურის ვეღარ მოვთხოვთ თავისუფლებას, მაგრამ იგივე მორალური-პროფესიონალური თავისუფლება რატომ არ უნდა გააჩნდეს კერძო მეცენატის მიერ დაარსებულ კონკურსის ჟიურის?!

და აი, მთავარ სათქმელსაც მივადექით — თუ როგორი სამართლიანობით ტარდება კონკურსი, დამოკიდებულია დამფუძნებლის ნდობით აღჭურვილ პირებზე: ეს უკანასკნელნი არიან პასუხისმგებელნი, როგორც პრემიების ღირსეულ განაწილებაზე, ასევე მათზე მინდობილი ლიტერატურული გემოვნების თამასის აწევა—დაწევაზეც. აქცენტირებას ვაკეთებ არა მხოლოდ იმაზე, როცა მავანს გულწრფელად მოსწონს საეჭვო მხატვრული „ღირებულების“ ნაწარმოები — რადგან, ასეთი დონის „პროფესიონალი“ არც უნდა იყოს ჟიურიში, არამედ იმ დანაშაულებრივ „სამართლიანობაზე,“ როცა მოწონება—არმოწონებაზეც კი აღარაა საქმე, ვინაიდან, არ ეცნობიან ნაწარმოებებს და ჟიურის პირადი ნებით (სხვადასხვა მიზეზთა გამოძ „იმარჯვებს“ კონკურსანტი, რის გამოც, იჩაგრება ჭეშმარიტი ნიჭიერება და ლიტერატურული გემოვნებაც სავალალოდ კნინდება.

**— ანუ, ფიქრობთ, რომ კლანურობასთან გვაქვს საქმე?**

— ლიტერატურულ კლანში თუ მოვიაზრებთ ერთნაირი მსოფლმხედველობით და არც თუ იშვიათად, ჭყეტელა სიტყვებში შეფუთული უნიჭობით გაერთიანებულ ადამიანებს, გასაგებია, რომ ჟიურიში მოხვედრილი ამგვარი სუბიექტი თავგადაკლული იზრუნებს, გაქაჩოს თავისნაირივე, რასაც, უპირველესად, საკუთარი რეპუტაციის ასამაღლებლად გააკეთებს, რადგან ნიჭიერის წარმოჩენა მის უნიჭობას ლაკმუსის ქაღალდივით გაამჟღავნებდა.

საერთოდაც, ნამდვილ ხელოვანთა გზა არასოდეს ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. ოთარ ჩხეიძემ ერთხელ, ლექციაზე გაიხსენა, როგორ იდო მისი რომანი ოცი წელი გამომცემლობაში... სამაგიეროდ კი, მაღაზიის თაროები ივსებოდა ფსევდომწერალთა ნაცოდვილარით. ასე რომ, სამართლიანი და მაღალზნეობრივი ურთიერთობა ლიტერატურულ სამყაროში არასოდეს ყოფილა და ალბათ, არც იქნება; რადგან, როგორც სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლაა დაუსრულებელი, ასევეა ბრძოლა ნიჭიერებასა და უნიჭობას შორის და სამწუხაროდ, მხოლოდ დროს ძალუძს ეს უკანასკნელი სანაგვეზე გაისტუმროს...

**— „საბას“ კონკურსი ამ მხრივ, რამდენად აკმაყოფილებს მაღალპროფესიონალური კონკურსის მოთხოვნებს? ვგულისხმობ ჟიურის კომპეტენტურობას და სამართლიანობას.**

— თავისთავად, სიტყვა „ჟიური“ ნიშნავს მაღალპროფესიონალ, კომპეტენტურ და სამართლიან სპეციალისტთა ჯგუფს, რომელიც გამოყოფილია იმისათვის, რომ განასხვავოს ყალბი მარგალიტი ნამდვილისაგან. ლიტერატურული „ყალბი“ და „ნამდვილი“ მარგალიტების გარჩევა საკმაოდ რთულია და როცა ჟიურიში დილეტანტებს იწვევენ — კრახიც გარდაუვალია. ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი იმთავითვე გამორიცხავს ავტორთან პირადი კეთილგანწყობის გამო დეფექტურ ნაწარმოებზე თვალდახუჭვას, რასაც, სამწუხაროდ, წლევანდელ კონკურსზე ჰქონდა ადგილი და შედეგად ის მივიღეთ, რომ კარგი პოეტი ელა გოჩიაშვილი „გავარდა“ შორტლისტებიდან, ხოლო ამ ფაქტის გამო ირაკლი კაკაბაძემ დატოვა კონკურსი, რაც ჟიურის არაპროფესიონალიზმისადმი და ტენდენციურობისადმი პროტესტის გამოხატულება გახლდათ...

**— „საბას“ წლევანდელ ჟიურიზე რას იტყვით?**

— იმის მიუხედავად, რომ, ვთქვათ, გურამ ოდიშარია, როგორც მწერალი, პროფესიონალია, ხოლო, დიანა ამფიმიადი „საბას“ გამარჯვებული, არც მწერლის პროფესიონალიზმი და არც „საბას“ ლაურეატობა არ გამოდგება საჟიურო-საშემფასებლო კრიტერიუმად. აქ მახსენდება რეალური ამბავი, რაც, შემდეგ ანეკდოტად გადაიქცა — გვარს არ დავასახელებ და ერთ მწერალს რამდენიმე წიგნის შესახებ ჩაეკითხნენ — თუ გაქვს წაკითხულიო, რაზედაც მიუგო, მე მწერალი ვარ, მკითხველი კი არაო... ანუ, ჟიურიში უნდა ისხდნენ, წლების განმავლობაში ფართოდ აღიარებული და ლიტერატურული საზოგადოების ნდობით აღჭურვილი ლიტერატურათმცოდნეები, მკვლევარები და კრიტიკოსები, რომელთაც ვერც კი გაუბედავენ „ხელის წაკვრის“ თხოვნას. საბედნიეროდ, დღესაც არსებობენ პროფესიონალი, ნიჭით და ღირსებით გამორჩეული ლიტერატორები, რომელთაგანაც შესაძლებელია „ღია,“ ლუსტრირებული ჟიურის ჩამოყალიბება. რას გვაძლევს ეს ვითომდა, „გასაიდუმლოებული“ ჟიური, როცა საახლობლომ მშვენივრად იცის ყველაფერი? სწორედ აქედან უნდა დაიწყოს „საბას“ განახლება — ანუ, პირველ რიგში უნდა მოხდეს უკვე არსებული ჯგუფის შეცვლა და შეიქმნას ლიტერატურული დარბაზი, სადაც ღია ან ფარული კენჭისყრით მოხდება ჟიურის შედგენა. თუ ამგვარი პრინციპული ცვლილებები არ მოხდება, მაშინ, წლევანდელი შემთხვევის არ იყოს, გახშირდება პროტესტები, რაც არა მარტო კონკურსის იმიჯზე იმოქმედებს უარყოფითად, არამედ — დამფუძნებლისაზეც.



**— ნინო დარბაისელი „საბას“ წლევანდელი კონკურსის „ლიტერატურული კორუფციის“ მამხილებელ ფაქტებად ასახელებს თამაზ ექვთიმიშვილის „პუანტებს,“ რომლებიც ადრე იყო დაბეჭდილი და გადაკეთებული სახით „ჩაჯდა“ კონკურსში, აგრეთვე ქეთი ნიჟარაძის პოეზიის შორტლისტში მოხვედრას, შოთა იათაშვილის წიგნის „კრიტიკის“ ნომინაციაში და გივი ალხაზიშვილის „ჩაბრუნებული მზერის“ საუკეთესო პოეტური კრებულის ნომინაციაში გამარჯვებას. თქვენი აზრი ამის შესახებ?**

— უცნაური არაა, რომ ამ წლების მანძილზე მშვენიერი პოეტი ნინო დარბაისელი ვერა და ვერ მოხვდა „საბას“ კონკურსანტთა შორისაც კი? მიზეზები იმდენად უაზროა, რომ ჩნდება ეჭვი — მისი მონაწილეობა ვიღაცებს არ აწყობთ. მით უმეტეს, რომ ნინო იმ კატეგორიას არ განეკუთვნება, ჯილდოს ბოძებით რომ გააჩუმებ...

**— ქართული ლიტერატურული საზოგადოება დაყოფილია სხვადასხვა ჯგუფებად. ვფიქრობ, კონკურსებიც ამ ჯგუფების ინტერესების მიხედვით ტარდება. ამიტომაა, რომ „საბა“ რამდენჯერმე ერთი და იგივე მწერალმა მიიღო. სამაგიეროდ უგულებელყოფილია რეგიონები. კონკურსებშიც ამის მიხედვით ამარჯვებინებენ. თქვენ რას ფიქრობთ?**

— რამდენადაც სწორად მახსოვს, „საბა“ რამდენჯერმე მიიღო აკა მორჩილაძემ. ის, რომ აკა კარგი მწერალია, არ ნიშნავს იმას, რომ ოთხივეჯერ შედევრი შექმნა. ასეც რომ იყოს, ხომ შეიძლება სხვასაც მიეცეს გამარჯვების შანსი? ფედერიკო ფელინი ამ მიზეზით უარს ამბობდა კინოფესტივალებში მონაწილეობაზე, რაც სწორედ, მის ღირსებაზე მეტყველებდა.

სხვათა შორის, წელს პირველად გაიმართა ქრისტიანული პოეზიის კონკურსი „წმინდა ნინოს ჯვარი,“ სადაც, სხვებთან ერთად მეც გავიმარჯვე, ახლავე ვაცხადებ, რომ მომავალ წელს აღარ ვაპირებ ამ კონკურსში მონაწილეობას, რათა, სხვებმაც მოსინჯონ ძალები. საქართველო პატარა ქვეყანაა და რაც მეტი ნიჭიერი შემოქმედი წარმოჩინდება, მით უკეთესი იქნება. ხოლო, როგორ უნდა წარმოჩინდეს, თუკი ერთი და იგივე ავტორებს გაამარჯვებინებენ? საჭიროა, ამ კუთხითაც გადაიხედოს „საბას“ კონკურსის წესდება. რეგიონები თუ უგულებელყოფილია, ე.ი. ესეც მიმანიშნებელია, რომ „საბას“ განახლება სჭირდება, რადგან „იხარშება“ ვიწრო წრეში და ვეღარ ემსახურება მაღალ იდეალებს.

**— დღეს აფასებენ იმ მწერლებს, რომელთაც „ძლიერი ზურგი“ აქვთ — გავლენიანი სანაცნობოს მხრივ. რით შეიძლება დავუპირისპირდეთ მათ ძალაუფლებას?**

— მართალია, მათ რეკლამა და ხმაურიანი პრეზენტაციები აქცევს დროებით, „მოდურ მწერლებად და პოეტებად“, მაგრამ საკმარისია, შეუწყდეთ ეგ ფუფუნება და მეორე დღესვე მათი არსებობა აღარავის ეხსომება. ჭეშმარიტი ხელოვნება კი გამოქვაბულიდანაც გაიკვლევს გზას... აგერ, ახლახან, ფეისბუქზე აღმოვაჩინე ნიჭიერი ზუგდიდელი პოეტები — ხათუნა როგავა და ზაურ გერგედავა. ასეთები, რაც არ უნდა „მალო“ და „ჩაძირო,“ მაინც ამოტივტივდებიან ზედაპირზე, განსხვავებით იმ „რიყის ქვებისგან,“ რომელთაც, როგორც კი შეუშვებენ ხელს გავლენიანი ნაცნობები, ეგრევე ფსკერისკენ ჩაექანებიან... თუმცაღა, „რიყის ქვები“ არც თუ უხიფათონი გახლავან, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მათ უნიჭობის მისაჩქმალად შემოაქვთ ნოვატორობისა და ავანგარდიზმის ამბიციას ამოფარებული ეროვნულობისა და სარწმუნოების შეურაცხმყოფელი თემატიკა. გულდასაწყვეტი ამ ამბავში ისაა, რომ ამაზე სათანადოდ არ რეაგირებს საზოგადოება, რადგან მსოფლიო სისტემისაგან იმდენად ძლიერი და დამთრგუნავი შეტევა მიმდინარეობს კაცობრიობაზე— ზნეობრივი ღირებულებების დეგრადირებისათვის, რომ ადამიანების მცირე ნაწილსღა შემორჩა პროტესტის განცდის (გამოხატვაზე აღარ ვლაპარაკობ) უნარი. შესაბამისად, ამიტომაც გაშალეს „შავი ფრთები“ სულიერი სიწმინდის, სარწმუნოების და ყოველივე ქართულის მოძულე სუბიექტებმა, რომლებიც ყველა ამ უბედურებასთან ერთად ავადმყოფური ფსიქიკითაც გამოირჩევიან. ამიტომ, სასურველია, „საბას“ წესდებაში მათგან თავდასაცავი პუნქტიც ჩამოყალიბდეს! და კიდევ — გასაკვირია, ამდენი ნომინაციის გვერდით რატომ არ ჩანს „საბავშვო ლიტერატურის“ ნომინაცია? მით უმეტეს, რომ ბავშვებს უფროსებთან შედარებით ბევრად უფრო უყვართ წიგნის კითხვა... იმედია, მომავალ წელს ეს ნომინაციაც ამოქმედდება, რაც კარგი საჩუქარი იქნება ჩვენი შვილებისათვის!

**— რას უსურვებთ „საბას“?**

— ვუსურვებ გამხდარიყოს მაღალგემოვნებიანი ლიტერატურული საზოგადოების ნების გამომხატველი კონკურსი. ამის მიღწევა ძნელი არაა, რაც გაამართლებს „საბას“ დაარსების მამულიშვილურ მისიას ქართული ხელოვნების გადასარჩენად.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

## ქართული გული

# ოტია იოსელიანი და ზესტაფონელი გია გაჩეჩილაძე!

დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მივდიოდით. ავტობუსი ქუთაისში რომ შევიდა, მეგობარმა დიდი გულისტკივილით თქვა:

— ბატონი ოტია იოსელიანი გარდაცვლილა!... გაანათლოს მისი სული უფალმა! ნაღდი ქართველი იყო!... ნაღდი ქართველი და დიდი მწერალი! მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება სამშობლოს სიყვარულით იყო ნაქარგი!... ეეჰ!... ყველანი სიკვდილის წილი ვართ!...

— სიკვდილს გააჩნია!... ბევრი მართლა კვდება, ბატონი ოტია კი, ცოცხალ სახებად დარჩება თავის გვიშტიბში და საქართველოში!... წალენჯიხაში ტერენტი გრანელის იუბილე რომ აღნიშნეს, მწერალთა კავშირიდან, მხოლოდ, ბატონი ოტია ეწვია პოეტის აკვანს და გულზე შვებიs მომფენი იყო მისი ყოფნა იქ!... უკვე ავად იყო, მაგრამ, როცა თბილისიდან გამომგზავრებისას დავურეკეთ, ყურმილს იქიდან ასეთი სიტყვები გაისმა:

— აბა, რას ვიზამ, ბოშო!... გრანელი მარტო წალენჯიხელების ხომ არ არის? ტერენტი გრანელი მთელი სევდიანი საქართველოა!

გვიშტიბში რომ ჩავედით, ბატონი ოტია უკვე მზად იყო! ის კი არა, თავისი მანქანის საჭესთან აპირებდა დაჯდომას, ჯერ კიდევ ვვარგივარო, იხტიბარს არ იტეხდა! მაგრამ ჩვენს მიკროავტობუსშიც მშვენიერი პირობები იყო და... წავედით!

— რას გეტყვით, იცით?... ლამის არის და, დაგვავიწყდეს ქართველებს ქართველობა!... აბა, გაგიგია, სიკეთის ქმნა და წესიერი მოქცევა გაგვიძვირდა!... და თუ, „გამოანათებს“ საცხა, ერთი-ორი პატიოსანი კაცი, გვიკვირს გადარევამდე!... ყველაფერი ფულზე რავა უნდა იყიდებოდეს, ბოშო?! — წუხდა ბატონი ოტია და ამ წუხილ-ბაასში ილეოდა გზა!

...მერე, კარგა ხანს არ ამოგვიღია ხმა მე და ჩემს მეგობარს, მოდიოდა ავტობუსი და თან მოჰქონდა ყველა ჩვენგანის საფიქრალი. ზესტაფონში კი, კვლავ აგვეშალა საუბრის საღერღელი.

— საოცარი ხალხია ეს ზესტაფონელები!... გამოცანა რომ უთხრა, ღვინოო, გეტყვიან და, უარის თქმას ვერ მოასწრებ, რომ უკვე კეცზე მჭადები ცხვება, ყველი იჭრება, ვარია წკირზე ტრიალებს და თან გამშვიდებენ: — რაია მერე?... აფერი უშავს, ერთი საათით ადრე ჩახვალ თბილისში თუ, ერთი საათით გვიან!... აგე, ა, წავიხემსოთ პაწა და მერე მშვიდობით გაგაცილებთ! აბა!... გია კალმახელიძე მყავს ასეთი, ზესტაფონში, გიჟი და გადარეული!... არ დამინახოს, თორემ, ავტობუსიდან ჩამოგვსვამს...

— ხომ არ მივაკითხოთ?

— შენ ხომ არ გაგიჟდი?... სამი დღე ვერ გავადგამთ ნაბიჯს!... კიდევ ერთ გიას ვიცნობ, ზესტაფონელს, გაჩეჩილაძეს გვარად! მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი, მაგრამ ნაღდი ქართველი კაცის, ნაღდი ზესტაფონელის შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე!...

— მხოლოდ ერთხელ?... რა ქნა ასეთი, თავი რომ დაგამახსოვრა?

— მას რომ ჰკითხო, ბევრი არაფერი, მაგრამ... ლამის ორ საათზე სამგორის მეტროსთან ვიდექით. წვიმდა! ერთ დანჯღრეულ ქოლგას შეფარებულები „ტრანსპორტს“ ველოდებოდით! აეროპორტში მიგვეჩქარებოდა, მეგობარს უნდა დავხვედროდით ღამის ოთხ საათზე!... უკვე ორი იყო და „უტრანსპორტობაში“ შეიძლებოდა დაგვგვიანებოდა!

— კი მარა, ტაქსი არ იყო?

— ტაქსი, კი იყო მაგრამ... „მაყუთი“ არ იყო „მაყუთი“! ოცდაათ ლარზე ნაკლებად ნაბიჯი არ გადადგეს იმ დალოცვილებმა!.. ოცდაათი ლარი კი... ამასობაში, ჩვენდა ბედად, შორიდან უჩვეულოდ ლამაზი ავტობუსი გამოჩნდა! ფეხებთან გააჩერა. მძღოლი გადმოვიდა, იქვე, სადღეღამისო ფარდულთან მიირბინა და რაღაცა იყიდა. მობრუნებულმა კი, ხმამაღლა დაიძახა:

— აბა, აეროპორტის გადასახვევამდე ვისაც უნდა, ჩასხედით!

გაჩერებაზე, მხოლოდ, ჩვენ ვიდექით.

— იქნებ, იქამდე მაინც შეგაწუხოთ?!...

— მობრძანდით!

ავტობუსი იყო, მაგრამ, რა ავტობუსი? ორსართულიანი, შესანიშნავი, კომფორტული სავარძლებით გაწყობილი, ისეთი გაწკრიალებული სალონით, რომ მოგვერიდა კიდევაც, სველი ფეხსაცმელებით ამ სისუფთავის მოსვრა!

— არა უშავს, ძმაო, არა უშავს, ამობრძანდით!

ჩვენც „ავბრძანდით“ და ათ წუთში აეროპორტის გადასახვევთან ვიდექით. უკვე არ წვიმდა!

— დიდი მადლობა, ძმაო!... რამდენი მოგართვათ?

— რას ბრძანებთ, ბატონო?... განა ყველაფერი ფულზე იყიდება?...

არ შევაწუხეთ! მხოლოდ გვარი და სახელი ვკითხეთ.

— მე გია გახლავართ, გაჩეჩილაძე, ზესტაფონელი კაცი!... ერთი შემახვედრა თქვენი თავი ზესტაფონში და... სახლიც მაქვს ზესტაფონში, კარიც მაქვს! პურიც მაქვს და ღვინოც! მეტი რა გვინდა? ერთი ორი ცხობა ხაჭაპურიც იქნება და ტაბაკაც, აბა? მარა არ ვართ ზესტაფონში ახლა და... მოიცა, მოიცა! წავიდეთ ხვალე, თუ გცალიათ?... მართლა გეუბნებით, მართლა!... გადაირევა მამაჩემი, უყვარს სტუმრები!



— დიდი მადლობა, ძმაო! ისედაც დიდი პატივი გვეცი და... გაიხარე!

და ფეხით დავუყევით აეროპორტისკენ მიმავალ გზატკეცილს. მივუყვებოდით შარას და ჯერ ისევ ამ კეთილ ვაჟკაცზე ვსაუბრობდით, რომ უკანიდან ავტობუსი „წამოგვეპარა“! დიახ, დიახ, წამოგვეპარა!... გავიხედეთ და, „ჩვენი“ ავტობუსი იყო!!

— ნამუსმა შემაწუხა, შუაგზაზე რომ „ჩამოგყარეთ!... ამობრძანდით, მიგიყვანეთ!

...და აეროპორტის ცენტრალურ „ჭიშკართან“ „გადმოვბრძანდით“ ამაყად!

გიას ხელს რომ ვართმევდი, თვალებზე ცრემლები მომადგა!

ჯერ კიდევ ცოცხლობდა თურმე საქართველოში ქართული გული და ურთიერთმოფერება!

...უხაროდა, ალბათ, დიდი მწერლის სულს ეს ამბავი!

**ზაურ ფიფია**

## პოეზია



### გურამ გომართელი

## ახალი რვეულიდან

### საქართველო მოდის...

**მოდის თავაწეული,
ნაბიჯი აქვს ნელი,
სუნთქვა — არა ჩვეული,
გაზნექილი წელი.
ქალთა შორის ყველაზე
ლამაზი და დიდი,
გამვლელების მზერაზე
იხატება რიდი.
წამით გადაივიწყეთ,
დარდები და სევდა,
ქუჩაში მობრძანდება,
ხვალინდელი დედა!**

### ვაზი — სიმბოლო

**ვენახი პირველად ვასიკო ვაშაძემ
მაჩვენა რგანში.
დავყავდი მწკრივებში, თან სხლავდა,
თან ცრემლი ელავდა თვალში.
ალბათ, ცოტა ხნის წინ შესმული,
ამ ყურძნის ნაჟური უდუღდა ჯანში.
ბოლოში გასულმა შაზიამანს ჩახედა კასრში.
„შვილივით მოვლა უნდა ვენახს“, —
მითხრა და წაიმღერა ტკბილად, დაბალ ხმაში.
შვილივით მოვლა უნდა ჩვენს სიმბოლოს,
შვილივით მოვლა უნდა, ყველამ გაიგოს!
თორემ ვშიშობ, ბოლოს, სადღაც სოფლის ბოლოს,
ვაზის ცრემლის დენა არვინ გაიყოლოს!**

### საკუთარ მეს

**შენი ყველა დღე, ჟინით სავსეა,
შენი ყველა დღე სიმამაცეა.
როგორმე უნდა აცდე შავ სიას,
ეს ხომ ასეა, ეს ხომ ასეა.
თან უნდა ჰგავდე კმაყოფილ ძიას,
თავი უხარო მზეს და განთიადს,
უნდა ერიდო ყველა ავყიას,
მთქნარების დროსაც ჰგავდე საქმიანს.
შენი ღიმილი იმის მაცნეა,
შენი სიმღერა იმის მაცნეა,
რომ ყოველი დღე სიმამაცეა,
ეს ხომ ასეა, ეს ხომ ასეა!**

2011 წ. ივლისი

## ბალკანური ანდაზები

- ლაფში ქვას ნუ ჩააგდებო.
- მგლებს გაექცნენ და დათვებს გადააწყდნენო.
- ჩვენ თუ ძმები ვართ, ჩვენი ქისები რა, ნათესავები არ არიან?
- ქათამი რაც ბევრს კაკანებს, კვერცხებს სულ უფრო პატარებსა დებსო.
- წვერი წამოეზარდა, მაგრამ ჭკუა ვერ გამოიყოლაო.
- გატენილი თოფისა ერთს ეშინია, გაუტენლისა — ორსაო.
- გინდა ქვა მიგირტყამს კვერცხისთვის, გინდა კვერცხი — ქვისთვის, კვერცხისთვის სულერთიაო.
- არვიციას მთქმელს თავი არ ასტკივაო.
- ორი თევზი ერთ ტაფაში იწვის და ერთმანეთისა არა სჯერათო.
- სუყველა ბრიყვისთვის რომ დაგვეკიდა ეჟვნები, რკინა არ გვეყოფოდაო.
- კოლო მუდამ თავის სასწორზე იწინებოდა, და სულ 99 კილო იყოო.
- ჯორს ჰკითხეს, მამაშენი ვინ არისო, იმან კი, ცხენი ბიძაჩემიაო.
- დიდი ლუკმა გადაგეყლაპება, დიდი სიტყვა კი ვაითუ გულზე დაგადგესო.
- მზე წუმპეშიც აირეკლება, მაგრამ მაინც სუფთა რჩებაო.
- ღმერთო, მეგობართაგან დამიფარე, მტრებს მე თავად მოვუვლიო.

## რას არ გაიგებ



# „მამაკაცმა“ სამი ბავშვი გააჩინა

**ტომას ბიტი** აღიარეს პირველ მამაკაცად, რომელმაც დაფეხმძიმება მოახერხა. აღსანიშნავია, რომ მან სამ წელიწადში სამი ბავშვი გააჩინა. მშობიარობიდან ერთი წლის შემდეგ ტომასმა ჩვეული ფორმა უკვე დაიბრუნა.

აღსანიშნავია, რომ ტომასი სრულფასოვანი არ არის. ის ქალად დაიბადა, თუმცა საბოლოოდ სქესის შეცვლა გადაწყვიტა. მან მოიშორა მკერდი, თუმცა ვიდრე ყველა ქალურ ორგანოს მოიშორებდა გადაწყვიტა დაფეხმძიმებულიყო და შვილები გაეჩინა. ორსულობის პერიოდში ტომმა შეწყვიტა მამაკაცური ჰორმონების მიღება, თუმცა მას შემდეგ რაც შვილები გააჩინა და პროცედურების ბოლომდე მიყვანა გადაწყვიტა, ჰორმონების სმა ისევ გააგრძელდა და სხეულის ფორმაში მოსაყვანად ვარჯიშიც დაიწყო.

ჯი-ეიჩ-ენი



## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სენატი აღიარებს საქართველოს მთლიანობას, მაგრამ ამაზე აზერბაიჯანს უარს ეუბნება

**მოვიდა ახალი ცნობა, რომ ამერიკის აზერბაიჯანული დიასპორის მთავარმა ძალამ – ამერიკის შეერთებული შტატების აზერბაიჯანელთა ძსელმა (იუსენი) – მიმართა სენატს თხოვნით, მიიღოს რეზოლუცია აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღიარების შესახებ. მოწოდების საბაბი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების სენატის ნაბიჯი, რომელმაც ამ დღეებში თავისი რეზოლუციით აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ოკუპირებული უწოდა.**

ამერიკის შეერთებული შტატების აზერბაიჯანელები სავსებით საფუძვლიანად მიიჩნევენ, რომ სენატმა უნდა მიიღოს ანალოგიური რეზოლუცია აზერბაიჯანთან დაკავშირებითაც, აღიაროს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და ყარაბახის რეგიონს ღიად უწოდოს ოკუპირებული.

იუსანმა თხოვნით მიმართა დიასპორის წევრებსა და მეგობრებს გაუგზავნონ წერილი ამერიკის შეერთებულ შტატებს, ოფიციალური მოთხოვნით მიიღონ ამგვარივე რეზოლუცია.

„ჩვენ მოგმართავთ თქვენ № 175 რეზოლუციასთან დაკავშირებით, რომელიც 29 ივლისს მიიღო სენატმა. ეს რეზოლუცია აღიარებს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი დარღვეულია, და მოუწოდებს მოაწესრიგონ კონფლიქტი მშვიდობიანი და სამართლიანი გზით საერთაშორისო დონეზე საზღვრების აღიარებულ ფარგლებში. სენატმა უნდა აღიაროს ასევე აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევა და მოუწოდოს გადაწყვიტოს კონფლიქტი მშვიდობიანი და სამართლიანი გზით საერთაშორისო დონეზე აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღიარების ფარგლებში“, – ნათქვამია იუსანის მოწოდებაში.



აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა მიიღო მორიგი რეზოლუცია საქართველოს მხარდასაჭერად 2008 წლის აგვისტოს ომის სამი წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით. მისი ერთ-ერთი დამმუშავებლის სენატორ ჯეინ შახინის სიტყვებით, დოკუმენტმა უნდა შეახსენოს მოსკოვს, რომ მან დღემდე მაინც არ შეასრულა მთელი რიგი ვალდებულებანი, რომლებიც აღნიშნულია მაშინდელ შეთანხმებაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, კერძოდ, არ დაუშვა ქართველ ლტოლვილთა დაბრუნება მშობლიურ სახლებში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ პოზიტიურად შეაფასა ამერიკის შეერთებული შტატების სენატის მიერ დაკავებული პოზიცია. თავის მხრივ, რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ნატოში დიმიტრი როგოზინმა გამოთქვა აზრი, რომ რეზოლუცია მიზნად ისახავს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას მიერ ინიცირებული პოლიტიკის „დისკრიმინაციასთან“ დაკავშირებით. „ეს რეზოლუცია არის ჩვეულებრივი გადაფურთხება რუსეთის მიმართულებით და არ ითვალისწინებს არანაირ პრაქტიკულ შედეგებს. ეს არის უბრალო დემარში, თავდასხმა, რომელმაც შეიძლება მხოლოდ გამოიწვიოს გაოცება რუსულ მხარეზე და ეჭვი ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო ხელისუფლების ადეკვატურობასთან დაკავშირებით“, – განაცხადა მუდმივმა წარმომადგენელმა.

სხვათა შორის, რაც შეეხება აზერბაიჯანული დიასპორის მოწოდებას ამერიკის შეერთებული შტატების სენატისადმი, სულაც არ არის დიდი იმედი იმისა, რომ ის დაიკავებს პოზიტიურ და სამართლიან პოზიციას. დასავლელი პოლიტიკოსები ხომ რატომღაც ერთობ არათანაბარზომიერად აფასებენ ეთნოგრაფიული კონფლიქტების შედეგებს პოსტსაბჭოთა სივრცეში. თუ საქართველოს და მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებლობა არ იწვევს აბსოლუტურად არანაირ ეჭვს ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსებისა 90-იანი წლების დასაწყისიდანვე, საკითხი მთიანი ყარაბახის კუთვნილების შესახებ იმავე დროიდან რატომღაც გვაიძულებს ვიქონიოთ ორმაგი განმარტება.

დასავლური სამყარო აღიარებს საქართველოსა და მოლდოვისადმი საერთაშორისო პრინციპის – სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის – გამოყენებას. მაგრამ როგორც კი საუბარი შეეხება აზერბაიჯანს, უმალვე რატომღაც „იხსენებენ“ კიდევ ერთ პრინციპს – ხალხების უფლებას ეროვნულ თვითგამორკვევაზე. მაშინ ამავე შემთხვევაში უარს ეუბნებიან თვითგამორკვევაზე აფხაზებსა და სამხრეთოსეთელებს და დნესტრისპირეთის მცხოვრებლებს, მაგრამ აღიარებენ ამავე უფლებას სომხებისათვის მთიან ყარაბახში, რაც სრულიად გაურკვეველია.

მით უმეტეს, რომ სომხები, როგორც ერი, დიდი ხანია თვითგამორკვეულია სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომლის მიწებზეც სხვათა შორის, არც ერთ მეზობელს არ აქვს პრეტენზია, თუმცა ამისთვის არის ყველა ისტორიული საფუძველი.

კიდევ ერთ ახალ ცნობაში, რომელიც გუშინ ვაშინგტონიდან მოვიდა, ნათქვამია, რომ ამერიკა-აზერბაიჯანის საზოგადოება და ამერიკელი აზერბაიჯანელები მიესალმნენ იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის საზღვარგარეთის დახმარების კომიტეტმა იმ რეგიონების სიაში, რომლებსაც 2012 საფინანსო წელს გამოეყოფათ დახმარება, არ ჩართეს სეპარატისტული „მთიანი ყარაბახის რესპუბლიკა“.

1994 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი დახმარებას უწევდა მთიანი ყარაბახის კონფლიქტის ყველა მსხვერპლს. მაგრამ 2005 წლიდან, სომხური დიასპორის ზემოქმედებით, უცხოური დახმარების კომიტეტი გამოყოფდა სახსრებს მხოლოდ მთიანი ყარაბახის სომხური თემისთვის. სხვა სიტყვებით, ეს ფული მიდიოდა უღიარებელი და უკანონო რეჟიმის მისამართით. ამ დროს 600 ათასი აზერბაიჯანელი, რომლებიც გამოდევნეს მშობლიური ადგილებიდან ეთნიკური წმენდის შედეგად, დარჩენილია ამ დახმარების გარეშე. „იმ დროს, როდესაც არ არის პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტა, დახმარების გაწევა მხოლოდ ერთი მხარისთვის – მთიანი ყარაბახისთვის – ეჭვქვეშ აყენებს კონგრესის არა მხოლოდ ობიექტურობას, არამედ მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატების საშუამავლო როლსაც“, – ნათქვამია თურქული და აზერბაიჯანული დიასპორის ორგანიზაციების განცხადებაში.

მიუხედავად ყოველწლიური მოსმენებისა და კამპანიებისა, რომლებსაც ამერიკელი აზერბაიჯანელები აწყობენ კონგრესში, უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში სომხურმა ლობიმ შეძლო მიეღწია დახმარების მოცულობის გაზრდა სეპარატისტული მთიანი ყარაბახისთვის 3-დან 8 მილიონ დოლარამდე.

სხვათა შორის, აღვნიშნავთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საფინანსო დახმარების შესახებ სეპარატისტული აფხაზეთის, სამხრეთი ოსეთისა და დნესტრისპირეთისადმი მთელი ამ წლების განმავლობაში სიტყვაც კი არ დაძრულა, უფრო მეტიც, ამ თვითგამოცხადებული გაერთიანებების ლიდერებს ეკრძალებათ კიდეც ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიებზე შესვლაც კი მაშინ, როდესაც „მთიანი ყარაბახის რესპუბლიკის პრეზიდენტები“ (სომხეთის მოქალაქეობის პასპორტებით ჯიბეშიძ ყოველწლიურად დაგლიჯინებენ საფრანგეთსა და ამერიკაში, სადაც ღიად აწარმოებენ მილიონობით სახსრების შეგროვებას ტელემარათონების დახმარებით.

2011 თებერვლიდან დღემდე კონგრესის წევრების სახელზე შემოსულია 6 ათასზე მეტი წერილი. წერილებში ნათქვამია, რომ დახმარების სიიდან კონფლიქტის აზერბაიჯანელი მსხვერპლის ამოღება არ არის სამართლიანი. „არათურქი ეროვნების მოქალაქეთა დიდი ოდენობა ასევე წინააღმდეგია ამერიკის შეერთებული შტატების გადასახადების გადამხდელთა ფულების გადაცემისას ყალთაბანდების ჯგუფების სასარგებლოდ, რომლებიც ამას თავიანთი ვიწრო კორპორატიული ეთნიკური პრობლემების“ სასარგებლოდ იყენებენ.

ამრიგად, 27 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ასიგნებათა ქვეკომიტეტმა განიხილა ბიუჯეტის პროექტი 2012 წლის საფინანსო წლისთვის, რომელიც პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საკანონმდებლო ორგანოში წარადგინა. სენატის უცხოური დახმარების ქვეკომიტეტმა დაამტკიცა დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია სომხეთისთვის დახმარების გაწევა 40 მილიონი დოლარის ოდენობით, მთიანი ყარაბახი კი დოკუმენტში სულაც არ არის ნახსენები. ამავე დროს სენატორებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას – სამხედრო საფინანსო დახმარება გაუწიონ აზერბაიჯანს. სომხეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ეს მოვლენები შეაფასეს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სომხური ლობის პოლიტიკური დუმილის შედეგი.

ამჟამად სომხური დიასპორა და ლობი ცდილობენ მიაღწიონ ამერიკის შეერთებული შტატებისგან 2012 წელს მთიანი ყარაბახისთვის ფულის გამოყოფას 10 მილიონი დოლარის ოდენობით.

ამასთან დაკავშირებით ვაშინგტონში აზერბაიჯანის ელჩმა იაშარ ალიევმა „აზერტაჯს“ აცნობა, რომ „ეს უკიდურესად მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენი დიპლომატიური მისიის ყურადღების ცენტრშია“. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 14 თებერვალს თეთრმა სახლმა კონგრესს წარუდგინა ბიუჯეტი 2012 წლისთვის „სახელმწიფო დეპარტამენტის უცხოური ოპერაციებისა და შესაბამისი პროგრამების შესახებ“. საკითხი შეეხება სწორედ ამ პროექტს. თებერვლიდან გრძელდება დაძაბული განხილვა ამ პროექტთან დაკავშირებით. დაბოლოს, 27 ივლისს სახელმწიფო დეპარტამენტისა და უცხოური ოპერაციების ქვეკომიტეტმა გამოიტანა განსახილველად ეს კანონპროექტი და მისი შემადგენელი ნაწილი – განმარტებითი დანართი, და ურჩია ასიგნების კომიტეტს მოიწონოს ის. მაგრამ რეკომენდებულმა პროექტმა ამის შემდეგ უნდა გაიაროს რამდენიმე ეტაპი. შემდგომი ეტაპი გაიმართა 3 აგვისტოს. ელოდებიან, რომ ამ დღეს ასიგნების კომიტეტის სხდომაზე სრული შემადგენლობით მოხდება პროექტის განხილვა. ქვეკომიტეტის რეკომენდაციებში არის ზოგიერთი მომენტი, რომლებიც სომხურ ლობს ხელს არ აძლევს.

Зеркало

## დედამიწის ზურგზე



**იუბილარმა ობამამ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში მედვედევი შეაფასა, როგორც „მძვინვარე“ და მისცა განმარტება დეფოლტის საფრთხესთან დაკავშირებით**

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას 4 აგვისტოს 50 წელი უსრულდება. ამ მოვლენის წინა დღეებში ის დათანხმდა მიეცა ერთადერთი ტელეინტერვიუ. როდესაც რუსეთზე საუბრობდა, მან მხარი დაუჭირა რუსეთის ტანდემის გადატვირთვის კურსს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ეკონომიკის მოდერნიზაციასთან დაკავშირებით. ასევე განმარტა მან კონგრესთან კონფლიქტის მიზეზები – მთელი საქმე დემოკრატიაშიო!

* * *

**აშშ ამზადებს ახალ სანქციებს სირიასთან დაკავშირებით. გაეროს უშიშროების საბჭომ ვერ მიაღწია შეთანხმებას ზემოქმედების ზომების შესახებ**

გაეროს უშიშროების საბჭოს დახურულმა სხდომებმა სირიის პრობლემებთან დაკავშირებით გამოიწვია მასში შემავალი 15 ქვეყნის წარმომადგენელთა აზრების გათიშვა. ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი მიდგომა: დასავლეთი ყველაფერში ბრალს სდებს დამასკოს და მოუწოდებს ზემოქმედების შემდგომი ზომებისკენ. სხვა ქვეყნები, მათ შორის რუსეთიც, „სიტუაციას უფრო რთულად მიიჩნევენ“.



* * *

**პერუში 15-მა შეიარაღებულმა დამნაშავემ 4 საათის განმავლობაში 400 კაცი გაძარცვა**

რომ გაეძარცვათ ასეთი დიდი ოდენობის ხალხი, საჭირო იყო მხოლოდ გზატკეცილის დაბლოკვა დიდი დასახლებული პუნქტიდან დაშორებით, რაც გააკეთეს კიდეც ბანდიტებმა. ბანდიტურ გამოხდომის წარმატებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ გასაძარცვად შერჩეული ადგილი იმდენად მივარდნილია, რომ უახლოეს პოლიციის უბანში ტელეფონიც კი არ აღმოჩნდა.

* * *

**ზურგჩანთიანი მამაკაცი გადაძვრა თეთრი სახლის ღობურებზე**

დაკავების მომენტი აღმოჩნდა ტელეკომპანიების პირდაპირ ეთერში. თეთრი სახლი და მასთან მისასვლელები იზიდავენ არა მხოლოდ მოქალაქეებს, რომლებსაც სურთ გამოხატონ თავიანთი უკმაყოფილება ადმინისტრაციის პოლიტიკით, არამედ გაუთანასწორებელ ადამიანებსაც და ფსიქიურად დაავადებულებებსაც.



* * *

**ტეხასში ტბა წითლად შეიღება. ფანატიკოსებმა გამოაცხადეს სამყაროს დასასრულის შესახებ**

ექსპერტები ამშვიდებენ აპოკალიფსის მოახლოებით დაშინებულებს, რომ სინამდვილეში ფერის შეცვლა აიხსნება სავსებით რაციონალური მიზეზებით. წითელი ფერი არის ერთგვარი ბაქტერიის მოქმედებათა შედეგი, რომლებიც აქტიურად მრავლდებიან ჟანგბადის უქონელ წყალში.

* * *

**დიეტა გვაიძულებს ვჭამოთ საკუთარი ტვინი, დაადგინეს ამერიკელმა მეცნიერებმა**

ისევე როგორც ადამიანის ორგანიზმის სხვა ნაწილები, თავის ტვინის უჯრედები იწყებენ საკუთარი თავის ჭამას, რათა ისარგებლონ ენერგიის უკანასკნელი წყაროთი შიმშილის შედეგების დასაძლევად. თაგვებზე ცდებმა აჩვენეს, რომ თუ ხელს შევუშლით ავტოფაგიის პროცესს, შიმშილის გრძნობა არ გაძლიერდება.



## დემოგრაფია

**ცოტა ხნის წინათ მასმედიით გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოსა და სომხეთში ახალშობილთა სქესებს შორის დისბალანსითაა შეშფოთებული, რის გამოც ევროსაბჭოს მომხსენებელი დორის სტამპი თბილისსა და ერევანში ჩამოსვლას გეგმავს. ამას მოჰყვა ქართველი დემოგრაფების ა. სულაბერიძისა და გ. წულაძის კომენტარები, რომლებიც ასევე დემოგრაფის, ასოცირებული პროფესორის ანზორ სახვაძის მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნის არეალში მოექცა.**

**გთავაზობთ ამ შენიშვნებს.**

ჩვენი, და, ალბათ, ბევრი სხვის გაოცებაც გამოიწვია იმან, რომ ქართველ დემოგრაფებს არ მოსწონთ ევროსაბჭოს მომხსენებლის დორის სტამპის ჩამოსვლა, რომელსაც თურმე მიაჩნია, რომ **„...საქართველოში ბიჭების დაბადების ზრდა დაკავშირებულია ტექნიკური საშუალებების (კერძოდ კი მომავალი ბავშვის ნაყოფის სქესის დადგენის მიზნით ექოსკოპიური გამოკვლევის ჩატარებასთან** — ა. ს.) **განვითარებასთან და ამბობს, რომ ძალიან ბევრი ოჯახი საქართველოში წინასწარ ბავშვის სქესის გაგების შემდეგ არასასურველი სქესის ბავშვს, ამ შემთხვევაში გოგონებს, აბორტის მეშვეობით იცილებს“.**

დაინტერესებული მკითხველი, ბუნებრივია, იკითხავს: კი მაგრამ, რატომ არ მოსწონთ ევროსაბჭოს ეს განცხადება ქართველ დემოგრაფებს? თურმე ნუ იტყვით — ავთანდილ სულაბერიძის აზრით **„ეს არის პოლიტიკური განცხადება და ვიღაცას უნდა საქართველოს ჩირქი მოსცხოს. თუ ვინმეს უნდა ჩამოსვლა, ჩამოვიდეს და მონაცემებს წინ დავულაგებთ“.**

ბატონ ა. სულაბერიძის ეს განცხადება, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს. ჯერ ერთი, განა არ უნდა იცოდეს დემოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ა. სულაბერიძემ, რომ ევროსაბჭოს წარმომადგენელი პოლიტიკური ფიგურაა და პოლიტიკურ განცხადებებს უნდა აკეთებდეს და არა „სამეცნიერო დითირამბებს“ უმღეროდეს ხელისუფლებას? ხოლო მეორეც, საინტერესოა, რა მონაცემების „დალაგებას“ უპირებს ევროსაბჭოს წარმომადგენელს პროფესორი ა. სულაბერიძე ისეთს, რომელიც ევროსაბჭოს წარმომადგენლისათვის არ იყოს ცნობილი?

თურმე ნუ იტყვით, ბატონი სულაბერიძე აპირებს ევროსაბჭოს წარმომადგენელს წარუდგინოს მის მიერ მომავალი ბავშვის სქესთან დაკავშირებით ჩატარებული ზეპირი კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც **„...არცერთ მომავალ დედას არ დაუზუსტებია (რას ნიშნავს გაუგებარია, ანუ არ ჰქონდა ექოსკოპია ჩატარებული და არ იცოდა მომავალი ბავშვის სქესი, თუ როგორ უნდა დაეზუსტებინა?** — ა. ს.) **მისთვის სასურველი ბავშვის სქესი“.** მერე კი ირკვევა, რომ თურმე არც ერთ დედას არ აინტერესებდა, და, ალბათ, ამიტომაც, არც დაუკონკრეტებია, თუ რომელი სქესის ბავშვის გაჩენა სურდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის სულ ერთი იყო გასაჩენი ბავშვის სქესი, რაც, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად დაუჯერებელია და კიდევ ერთხელ მიუთითებს ბატონ სულაბერიძის მიერ ჩატარებული ზეპირი გამოკითხვის აბსურდულობას.

მეტიც: ბატონ სულაბერიძის „დამაჯერებელი არგუმენტები“ უფრო შორს მიდის: **„ამაზე (ე. ი. აღნიშნულ საკითხზე, ანუ სქესთა თანაფარდობის დარღვევაზე** — ა. ს.) **საუბარი ადრეც იყო. აქ ერთი უცხოელი მეცნიერი იყო ჩამოსული და ავუხსენით, რომ ეს არის არასწორი აღრიცხვის შედეგი, თორემ შობადობასთან ბევრი რაღაც ისედაც დაუბალანსებელია, თუნდაც ის, რომ ბიჭები გოგონებზე მეტნი კვდებიან“.** საერთოდ, რა კავშირშია შობადობის დაუბალანსებლობასთან ბიჭების მოკვდაობის სიჭარბე, გაუგებარია. ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ასევე ვერ გავიზიარებთ მეორე ექსპერტის, პროფესორ გიორგი წულაძის არგუმენტებსაც, რომელიც, ბატონ სულაბერიძის მსგავსად, სქესთა მეორეული თანაფარდობის დარღვევას მხოლოდ არასწორ აღრიცხვას უკავშირებს:

**„— 100 გოგოზე 128 ბიჭი რომ მოდიოდეს, ეს არ არის საგანგაშო, რადგან ეს არასწორი აღრიცხვის შედეგია. ვინც ცოტა მაინც იცის დემოგრაფია, მიხვდება, რომ საქართველოში ბალანსი დაცულია. ევროსაბჭოს რაც შეეხება, მათი აღშფოთება უსაფუძვლოა. საქართველოში საგანგაშო არაფერი ხდება, შეუძლიათ ჩამოვიდნენ და გაეცნონ ჩვენს მონაცემებს“,** — აცხადებს ბატონი წულაძე.

# ბიჭი თუ გოგო?



აქ ბევრი საკითხია გასარკვევი და ამიტომაც სჯობს ცალ-ცალკე განვიხილოთ ისინი.

ჯერ ერთი ვიკითხოთ, თუ რატომ ვერ ახერხებს სტატისტიკა ზუსტ აღრიცხვას, ნუთუ ასე ძნელია ახალდაბადებული ბავშვების სქესის გარჩევა, და, შესაბამისად, ზუსტად აღნუსხვა? ბუნებრივია, რომ თვითონ სქესის აღრიცხვა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, ამიტომ გ. წულაძისა და ა. სულაბერიძისგან განსხვავებით, რომლებიც სქესთა მეორეული თანაფარდობის დარღვევას მხოლოდ აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობით ხსნიან, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველოს უფროსი პაატა შავიშვილი პრაქტიკულად გამორიცხავს მათ მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების უზუსტობას.

ოფიციალური სტატისტიკა სქესთა მეორეული თანაფარდობის დარღვევას სულაც არ უკავშირებს აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობას. მაშ რისი ბრალი შეიძლება იყოს ასეთი მკვეთრი დისბალანსი? ჩვენი აზრით, აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ეს მოვლენა (სქესთა მეორეული თანაფარდობის დარღვევაძ მხოლოდ საქართველოში კი არ შეიმჩნევა, არამედ სომხეთშიც, აზერბაიჯანშიც, რაც თითქმის სრულიად აცლის საფუძველს იმის მტკიცებას, რომ ეს მოვლენა მხოლოდ სტატისტიკის მოუწესრიგებლობას დავაბრალოთ. ამიტომ შეგვიძლია დასაბუთებული ვარაუდი გამოვთქვათ იმის შესახებ, რომ ეს არის მხოლოდ სტატისტიკური პრობლემა და მას, შესაძლოა, სხვა ძირეული ფაქტორებიც განაპირობებდნენ. მაგალითად, ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული ამ მოვლენას თუნდაც ეკოლოგიურ (მათ შორის ჩერნობილის კატასტროფისძ პრობლემებთან ჰქონდეს კავშირი, რაც, სამწუხაროდ, ამ საკითხის დღემდე შეუსწავლელი ასპექტია. ამიტომაც ჩვენთვის უფრო მისაღები იქნებოდა, თუკი ევროპელი მომხსენებელი ამ საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით შესწავლის აუცილებლობაზე გაამახვილებდა ყურადღებას, რაც ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებითაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ვერ დავეთანხმებით ბატონ გ. წულაძეს იმაშიც, რომ 100 გოგოზე 128 ბიჭი რომ მოდიოდეს, ეს არ არის საგანგაშოო, რადგან სქესთა თანაფარდობის ასეთი მკვეთრი დარღვევა, მეტად ნეგატიურ შედეგს (საპატარძლოების დიდ დეფიციტსძ გამოიწვევდა.

საეჭვოა ვინმე დაარწმუნო იმაში, რომ მხოლოდ აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობის შედეგი შეიძლება იყოს სქესთა მეორეული თანაფარდობის დისბალანსი და ამ დროს არავითარ როლს არ ასრულებდეს აბორტების მეშვეობით არასასურველი სქესის ბავშვების, ამ შემთხვევაში გოგონების აბორტის მეშვეობით მოცილების შემთხვევები. აშკარაა, რომ ჩვენში გავრცელებულია აბორტების გაკეთება სწორედ არასასურველი სქესის ნაყოფის მოშორების მიზნით. ამიტომ არასწორია ბატონების ა. სულაბერიძისა და გ. წულაძის დაჟინებული მტკიცება, თითქოს სქესთა მეორეული თანაფარდობის დისბალანსი მხოლოდ აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობით აიხსნება.

მკითხველს შთაბეჭდილება არ უნდა დარჩეს, თითქოს ვინმე სტატისტიკის სამსახურის ადვოკატობას აპირებდეს. სტატისტიკას დღეს ძალიან კი უჭირს (მაგალითად ისიც გამოდგება, რომ 2008 წლის მონაცემებით დაბა ადიგენში ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით 141 ბავშვი დაბადებულა, და ეს მაშინ, როდესაც ამ მაჩვენებლის ისტორიული და ბიოლოგიური მაქსიმუმი თეორიულადაც კი არ შეიძლება, რომ 55-60-ს აღემატებოდესძ და იგი თავს ვერ ართმევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოხდეს მისი მონაცემების სრული იგნორირება და მათი სხვა, თუნდაც „ზეპირი გამოკითხვისა“ და „ექსპერტული შეფასებების“ მონაცემებით ჩანაცვლება. მით უფრო, რომ აღნიშნული მოსაზრების ავტორებს არავინ ეკითხება „თავიანთი ზუსტი მონაცემების“ ევროსაბჭოს მომხსენებლისათვის „დალაგებას“.

არც ის მიგვაჩნია სწორად, რომ სტატისტიკური მონაცემები „პროკრუსტეს სარეცელზე“ დავაწყოთ და ცალკეული ადამიანების შეხედულებებისამებრ ვასწოროთ, რადგანაც აქედან ქვეყნისთვის არაფერი სასიკეთო არ გამოვა, გარდა „მაამებლური სტატისტიკისა“, რაც ჩვენმა ქვეყანამ უკვე გაიარა და ვფიქრობთ, რომ აღარაა საჭირო მისი გამეორება.

**ანზორ სახვაძე,**
**დემოგრაფი, ასოცირებული პროფესორი**

## სახალხო დამცველი



# დევნილები მძიმე მდგომარეობაში არიან

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს კობა სუბელიანს, დევნილთა ადეკვატური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისა და ობიექტების მათ საკუთრებაში გადაცემის მიზნით, შეისწავლოს ამ ობიექტებში არსებული მდგომარეობა. იმ ობიექტებში, რომელთა დევნილთათვის გადაცემაც იგეგმება, მაქსიმალურად მოკლე ვადაში გაატაროს შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები, დევნილთა ადეკვატური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისათვის, ხოლო იმ ობიექტებიდან, რომლებიც არ ექვემდებარება რეაბილიტაციას, დევნილები ალტერნატიულ საცხოვრებელში გადაიყვანოს.

ასევე, საქართველოს სახალხო დამცველმა მოითხოვა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლით დადგენილ 10-დღიან ვადაში, მინისტრმა სახალხო დამცველს მიაწოდოს ინფორმაცია იგეგმება თუ არა „ლიკანი 2“ და „ლიკანი 3“-ში მცხოვრებ დევნილთათვის აღნიშნული კომპაქტურად განსახლების ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2011 წელს საქართველოს მასშტაბით დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ რამდენიმე ათეული კომპაქტური განსახლების ობიექტი უმძიმეს მდგომარეობაშია. კერძოდ:

თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი — კორპუსები 3 და 4 — მდებარე თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კილომეტრი (ეს ობიექტი დევნილებს გადაეცათ კერძო საკუთრებაშიძ; თბილისი, ბაგების სტუდქალაქი — კორპუსები 4 და 5 — მდებარე დაბა ბაგები (ეს ობიექტი დევნილებს გადაეცათ კერძო საკუთრებაში.ძ; ბორჯომი, „ლიკანი 2“ და „ლიკანი 3“ — მდებარე ქ. ბორჯომი, მესხეთის ქუჩა №63 (ეს ობიექტი იქ მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს საკუთრებაში არ გადასცემიათძ; ხობის რაიონი, ჭყონდიდელის ქ.№9-ში მდებარე დევნილთა საერთო საცხოვრებელი; ხობის რაიონი, სოფელ საჯიჯაოს მეურნეობის ბინები; ხობის რაიონი, სოფელ საჯიჯაოს ადმინისტრაციის შენობა; .ჩხოროწყუ, საკონსერვო ქარხნის შენობა; ქუთაისი, ყოფილი „ტურბაზა რიონი“ (ახალგაზრდობის №5ძ; ქუთაისი, ყოფილი №22 ბაგა-ბაღი (ნიკეას №1, შესახ. №13ძ; გორი, „ავტოკემპინგი“ (ტურბაზაძ (სუხიშვილის ქ. №63ძ; დაბა სურამი, სანატორიუმი „ფოლადი“; ფოთი, სასტუმრო „აიეტი“ (მშვიდობის ქ. №12აძ; ფოთი, ბაგა-ბაღი „მზიური“ (თამარ მეფის ქ. №1ძ; ხაშურის რაიონი, სანატორიუმი „მზიური“ (დაბა სურამი, აღმაშენებლის ქ.№100ძ.

ამ ობიექტების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემები. კერძოდ, შენობებში შექმნილია უმძიმესი მდგომარეობა: დაზიანებულია სახურავები, მოუწესრიგებელია წყალგაყვანილობა და კანალიზაცია, რიგ შემთხვევებში, კომპაქტურად განსახლების ობიექტები ანტისანიტარიულ მდგომარეობაშია, სარდაფებში ჩადის წყალი. ამასთან, საცხოვრებელი შენობების კედლები დაზიანებულია. სადარბაზოებში არ არის ჩასმული კარ-ფანჯრები, კიბეებს კი არ აქვთ მოაჯირი. ასევე, დაზიანებულია შენობების იატაკები. კომპაქტურად განსახლების ზოგიერთ ობიექტში, დევნილთა საცხოვრებელ ოთახებში ჩადის წყალი და არის სინესტე. ობიექტების ნაწილს აქვს სასმელი წყლის პრობლემა, ხოლო რიგ მათგანში ცხოვრება შეუძლებელია.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ქუთაისში ახალგაზრდობის ქ.№5-ში მდებარე კომპაქტური განსახლების ობიექტში — „ტურბაზა რიონი“. აქ საბჭოთა კავშირის დროს აშენებული ხის კოტეჯებია. კოტეჯები სიძველის გამო, ფაქტობრივად დაშლის პირას არის მისული. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აღნიშნულ ობიექტში მცხოვრებ დევნილთა ნაწილი ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა.

იხ. 11 გვ.

◉ რაგბი

# ახლოა ზელანდიამდე



**საქართველოს სარაგბო ნაკრები მსოფლიო თასისთვის მზადებას განაგრძობს – „ბორჯღალოსნები“ კვლავ კანის მახლობლად, მანდელიე დე ნაპოლში იმყოფებიან და დღეში 2-3 ვარჯიშს მართავენ. ოცდათორმეტივე მორაგბე თავს კარგად გრძნობს, თუმცა, რამდენიმე მათგანს უმნიშვნელო მიკროტრავმები აქვს.**

6 აგვისტოს ნაკრები ქალაქ ისუარში მიემგზავრება, სადაც ორკვირიანი შეკრების ფარგლებში, ელიტა 2-ის გუნდებთან ორ საკონტროლო მატჩს გამართავს. „ბორჯღალოსნები“ 13 აგვისტოს „ორიაკს“ გაეჯიბრებიან, ხოლო 19-ში “ბურგუენთან“ მოსინჯავენ ძალებს.

ქართველი მორაგბეები კანში 21 აგვისტოს დაბრუნდებიან და 29 აგვისტომდე დასვენების პერიოდი ექნებათ. პირველი ეტაპის შემდეგ დასახელდება იმ 30 კაცის სია, რომელიც 22 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით მსოფლიო თასისთვის ბოლო შეკრებაზე გადავა და ახალ ზელანდიაში ქვეყნის ღირსების დასაცავად გაემგზავრება.

◉ ძიუდო

# ცირეკიძე შეიწყალეს

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა სამკვირიანი იაპონური შეკრების შემდეგ ერთი კვირა საქართველოში ივარჯიშა და მორიგი ერთობლივი შეკრების გასავლელად იტალიაში გაემგზავრა. ეროვნული გუნდის ავსტრიელმა თავკაცმა პეტერ ზაიზენბახერმა ამჯერად თან 15 შეგირდი იახლა.**

იაპონიაში ნამყოფ შემადგენლობას გამოაკლდა მძიმეწონოსანი ლაშა გუჯეჯიანი. საქართველოს ძიუდოს ფედერაციიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მან შეკრებაზე ნეკნის ტრავმა მიიღო და სრული დატვირთვით ვარჯიშს ვერ ახერხებს.



60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზაიზენბახერმა არჩევანი ამირან პაპინაშვილსა და ბეთქილ შუკვანზე შეაჩერა, 66 კილოგრამში რომაულ ტატამზე შალვა ქარდავა და დავით ასუმბანი გავლენ, 73-ში – ნუგზარ ტატალაშვილი და თენგიზ პაპოშვილი, 81-ში – ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური და გიორგი ბაინდურაშვილი, 90-ში – ვარლამ ლიპარტელიანი და ზვიად გოგოჭური, 100-ში – ლევან ჟორჟოლიანი და ირაკლი ცირეკიძე, +100-ში – ზვიად ხანჯალიაშვილი და ადამ ოქრუაშვილი.

ყველაზე საინტერესო შემადგენლობაში ირაკლი ცირეკიძის გამოჩენაა. ნაკრების ყველაზე ტიტულოვანი წევრი ავსტრიელმა სპეციალისტმა დაახლოებით თვენახევრის წინ გუნდს დისციპლინის დარღვევისთვის ჩამოაცილა. მაშინ ზაიზენბახერმა განაცხადა, რომ ცირეკიძეს გაფართოებულ შემადგენლობასთან ერთად ვარჯიშის უფლებას მხოლოდ დასკვნით შეკრებაზე მისცემდა და თუ ძიუდოისტი საკონტროლო შეხვედრებში დაამტკიცებდა, რომ შიდა კონკურენციაში გამორჩეულია, მსოფლიოს ჩემპიონატის განაცხადშიც შეიყვანდა.

იაპონური შეკრების მიღმა დატოვებული ოლიმპიური ჩემპიონი თბილისში ემზადებოდა ნაკრების სხვა კანდიდატებთან ერთად და, როგორც ჩანს, სასჯელის შემსუბუქების ერთ-ერთი საბაბი ეს მონდომებაც გახდა.

ასევე საინტერესოა იტალიურ განაცხადში გიორგი ბაინდურაშვილის გამოჩენაც, ხოლო დავით ასუმბანის ერთი წონითი კატეგორიით მაღლა აწევა ახალი ამბავი უკვე აღარაა. 66 კილოგრამში მსოფლიოს პირველობაზე, სავარაუდოდ, სწორედ მას და შალვა ქარდავას მოუწევთ ჭიდაობა.

იტალიურ შეკრებაში მასპინძელთა და საქართველოს ნაკრების გარდა კიდევ რამდენიმე ქვეყნის ეროვნული გუნდი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის საბერძნეთი.

ზაიზენბახერის გუნდი თბილისში 12 აგვისტოს დაბრუნდება და ერთი კვირით დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე დაბანაკდება. მსოფლიოს პირველობაზე დასაყენებელი შემადგენლობის დასახელებამდე მწვრთნელმა შეიძლება საკონტროლო შეხვედრებიც ჩაატაროს.

შეგახსენებთ, მსოფლიოს ჩემპიონატი 23-28 აგვისტოს პარიზში გაიმართება და საქართველოს ნაკრებს თითო წონით კატეგორიაში ორი ძიუდოისტით გამოსვლის უფლება ექნება. გამოიყენებს თუ არა ამ კვოტას სრულად, მხოლოდ პეტერ ზაიზენბახერმა იცის.

◉ ადამიანი დროში



**სასროლეთზე ცივი ქარი ზუზუნებდა, მერე თავსხმა წვიმამ დაუშვა. გალუმპულ მშვილდოსნებს გათოშილი ხელი არ ემორჩილებოდათ. ბევრმა სამი დღის ნაშრომ-ნაამაგარი ნიაღვარს გაატანა – ქეთევან ლოსაბერიძე არ შემდრკალა მხოლოდ. ბავშვობიდან მრავალ გაჭირვებაგამოვლილმა მკაცრ გამოცდას გაუძლო, 30 შესაძლებლიდან 29 ქულა მოაგროვა და 1980 წლის 8 აგვისტოს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, რაც საბჭოთა მშვილდოსნობის ისტორიაში არნახული წარმატება იყო.**

**ქეთევან ლოსაბერიძე პირველად 1967 წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი, მერე 11-ჯერ ფლობდა ამ ტიტულს. 1972 და 1978 წლებში ევროპის პირველობებზე გაიმარჯვა. 1973 წლის სსრკ ჩემპიონი მსგავსი შეჯიბრებების ერთი ვერცხლისა და ექვსი ბრინჯაოს მედლის მფლობელია. ორჯერ გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონობაც ერგო.**

# ჩემპიონის ცრემლები



**– გამართლება თუ ნიჭი? – რა იყო თქვენი წარმატებების უპირველესი საწინდარი? – ვკითხე ქალბატონ ქეთევანს.**

– ალბათ, უდიდესი შრომისმოყვარეობა. ჩემს მშობლებს 9 შვილი ჰყავდათ. ხუთი წლისას დედა გარდამეცვალა. თავად გავიკაფე გზა. 1972 წელს ლუქსემბურგში ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი გავხდი, მიუნხენის ოლიმპიადაზე კი მე-4 ადგილი დავიკავე. არადა, მეორე-მესამე პრიზიორებს – პოლონელ ირენა შიდლოვსკას და რუს ემა გაპჩენკოს კონტინენტის პირველობაზე ვაჯობე. ოლიმპიადაზე ორივეს გაუმართლა.

**– თქვენს სპორტულ კოლექციას „ამბროზიანოს თასიც“ ამშვენებს. იქნებ, ამ შეჯიბრებაზეც გვითხრათ რამე.**

– ეს შერეული ტურნირი იტალიაში ეწყობოდა – ქალები და მამაკაცები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. 1975 წელს ქალებს კი ვაჯობე, მაგრამ ერთმა მასპინძელმა ვაჟმა გამისწრო. მეორედ ოთხი წლის შემდეგ გამოვედი ამ ტურნირზე და ყველას მოვუგე – მანდილოსნებსაც და კაცებსაც. მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა რუსკონიმ ვახშამზე მიგვიწვია და მთავარი ჯილდო – „ვერცხლის ყელსაბამი“ იქ გადმომცა.

**– საკავშირო სპორტკომიტეტისგან თუ შეგქმნიათ პრობლემები?**

– რამდენიც გინდათ... ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილი დავიკავე. მთავარი პრიზი ოლგა როგოვამ დაისაკუთრა. ოლიმპიურ ნაკრებში ერთბაშად ოთხი კანდიდატი აღმოვჩნდით. „სამართლიანობის“ მიზნით ოფიციალური ტურნირი გამართეს ნაკრებში მოსახვედრად – ასე ცდილობდნენ ჩემს „უმტკივნეულოდ“ ჩამოშორებას, მაგრამ შეჯიბრებაზე 2569 ქულა მოვაგროვე და დიდი უპირატესობით მოვუგე კონკურენტებს, მერე კი ოლიმპიური ოქროს მედალიც დავიმსახურე. ცხადია, ჩემი სიხარული უსაზღვრო იყო.

**– თავად სპორტსმენებს როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ თქვენთან?**

– ნორმალური, ოღონდ „ზემოდან“ გვიმღვრევდნენ წყალს. ოლიმპიადამდე როგოვას რომ გამაჯიბრეს, მესამე დღეს თავად მოვიდა ჩემთან, მომიბოდიშა და თამაშებზე შენ უნდა გამოხვიდეო, მითხრა. ერთ ეპიზოდსაც გიამბობთ: საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირიდან მე და ემა გაპჩენკო ერთად ვბრუნდებოდით. თვითმფრინავში გვერდი-გვერდ ვისხედით. იგი თავის ოჯახზე მიყვებოდა. მითხრა, დედაჩემმა გემრიელი კერძების მომზადება იცის, დღეს მელოდება და ცხელ „შჩის“ დამახვედრებს, ერთს გემოზე ჩავხვრეპ და მერე დავიძინებო. გამახსენდა ჩემი ბავშვობა, ნაადრევად გარდაცვლილი დედა და თვალები ცრემლით ამევსო. ემას ეს არ შეუმჩნევია. მოსკოვში რომ ჩავფრინდით, გაპჩენკოს ახლობლები დახვდნენ და შინ წაიყვანეს, მე კი მშვილდოსნობის ფედერაციის წარმომადგენლებმა ერთ-ერთი სპორტული ბაზის საერთო საცხოვრებელში მიმიჩინეს ბინა. გული დამწყდა...

**ქეთევან ლოსაბერიძე აგვისტოს დასაწყისშია დაბადებული, ოლიმპიური ოქროს მედალიც ამ თვეში მოიპოვა. ორივე დიდი თარილი სახელოვან ჩუბინს სპორტის მინისტრმა ვლადიმერ ვარძელაშვილმა მიულოცა, ფულადი და ფასიანი ჯილდოები გადასცა.**

ვაჟა დანელია

◉ ინტერნეტიდან

## მძლეოსნები გვახარებენ

**შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად გვახარებს შეჯიბრებებში სპორტსმენის მიღწევის გვერდით წარწერა: „სეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში“. ასეთი წარწერები კი ძალზე მომრავლდა წლევანდელი მძლეოსნური შეჯიბრებების ანგარიშებში. ასე იყო, მაგალითად, ამ დღეებში სტოკჰოლმში გამართულ „ბრილიანტის ლიგის“ მე-11 ეტაპის ასპარეზობებზეც.**

თითქოს ჩვეულებრივ ამბად მივიჩნიეთ 200 მეტრზე სირბილში პოპულარული სპრინტერის უსეინ ბოლტის გამარჯვება – 20,03. რეკორდამდე მას ბევრი არაფერი დაკლებია.

გულშემატკივრებმა ნამდვილად გაიხარეს სიგრძეზე ხტომაში ავსტრალიელი უოტის შედეგით – 8,54 მეტრი – საუკეთესო სეზონში! ასეთივე იყო შუბის ტყორცნაში ნორვეგიელი ტორკილდსენის შედეგიც – 88,43 მეტრი. ქალთა შორის კი თავი გამოიჩინა 5000 მეტრზე სირბილში კენიელმა ჩერუიოტმა – 14,20,87.



## თუკი ალენას დაუჯერებენ

**იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ მეკარის ჯანლუიჯი ბუფონის ცოლი, ჩეხი მოდელი ალენა სერედოვა აცხადებს, რომ მას არ უნდა, თავისი ქმარი იხილოს რომელიმე კლუბის მთავარ მწვრთნელად.**

„ვიმედოვნებ, რომ ჯიჯი არ გახდება კლუბის მწვრთნელი, რადგან ეს იქნება ცხოვრება დასვენების დღეებისა და შვებულების გარეშე. მე მინდა მისი ხილვა რომელიმე ეროვნული ნაკრების მწვრთნელად, რადგან ნაკლებ დროს წაართმევს“, – თქვა სეროდოვამ. გავრცელდა ხმები თითქოს ის ფეხმძიმედ იყოს. რადგან განიერ კაბებს იცვამდა, რაც ლამაზმანმა უარყო: „ჩვენ ორი შვილი გვყავს. 1,5 და 3,5 წლისა, ეს ნიშნავს, რომ მე ბევრს ვმოძრაობ, ამიტომ თავისუფალ ტანსაცმელს ვარჩევ“, – განაცხადა მოდელმა.



◉ ექსტრემი

# ალპებში – ცალთვლიანი ველოსიპედით



**ავსტრიელმა სპორტსმენ – ექსტრემალმა დავით ვანჰენერგმა, მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი რომაა სამთო ველოსიპედით ბუნებრივ რელიეფზე ჩქაროსნულ დაშვებაში, – შექლო ალპების გადალახვა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ცალთვლიანი ველოსიპედით.**

მან სტარტი აიღო 19 ივლისს ბავარიის სამხრეთში ალპზეეს ტბიდან და კვირას ფინიშთან მივიდა ჩრდილო იტალიაში ტბა გარდაზეესთან. ტრასის საერთო სიგრძე 400 კმ-ია, საიდანაც 14 კმ ციცაბო აღმართი იყო, ხოლო 15 კმ – ციცაბო დაღმართი. სპორტსმენს ხან მანქანის მიწოლა სჭირდებოდა, ხანაც ზურგით ტარება.

მიზანს მიაღწია თუ არა, ექსტრემალმა სპორტსმენმა განაცხადა, რომ უკვე აქვს რამდენიმე იდეა ახალ მარშრუტზე. თუმცა იქამდე უნდა დატკბეს მიღწეულით.

ჩვენ და გარესამყარო

# შორს საძებარი მწარე ლუკმა

**თურქეთი, საბერძნეთი, კვიპროსი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, იტალია, საფრანგეთი, რუსეთი, უკრაინა – ეს იმ „ძირითადი“ ქვეყნების არასრული ჩამონათვალია, სადაც საქართველოდან წასული მოსახლეობა ლუკმა-პურის საშოვნელადაა წასული. თუ რამდენი კაცია ამ მიზნით ბოლო წლებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასული, ამის თქმა დანამდვილებით შეუძლებელია, რადგან ოფიციალური აღრიცხვა არც თავის დროზე უწარმოებია ვისმეს, არც ამჟამად ახორციელებს. არაოფიციალურად კი ვარაუდობენ, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე საზღვარგარეთ სამუშაოდ ქვეყნიდან დაახლოებით ორი მილიონი (!!) კაცია გასული, რომელთაგან დაახლოებით სამი მეოთხედი იქ არალეგალურად ცხოვრობს და უმეტესწილად, „შავ“ დაბალანაზღაურებად სამუშაოს ასრულებს.**

იმის საილუსტრაციოდ, თუ სოციალურად რაოდენ მძლავრია საქართველოსთვის მოსახლეობის ამოდენა მასის საზღვარგარეთ გახიზნვა, აღვნიშნავთ, რომ იმავე არაოფიციალური მონაცემებით, მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 80-ათასი კაცია წასული, რომელთა 90 პროცენტი ქალია (!) და ისინი, უმეტესწილად, ხანდაზმულთა და ბავშვთა მომვლელებად, მცირეწლოვანთა ძიძებად ასევე არალეგალურად მუშაობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეერთებული შტატების საემიგრაციო სამსახურს ნებისმიერ დროს შეუძლია მათი ქვეყნიდან გაძევება.

ამ მხრივ ევროპაში მდგომარეობა და, შესაბამისად, მთლიანი „საემიგრაციო ფონი“ რამდენადმე სხვაა. მაგალითად, გერმანიაში სადღეისოდ რეგისტრირებულია დაახლოებით 10 ათასი ქართველი, თუმცა სხვადასხვა არაოფიციალური მონაცემებით მათი რიცხვი სინამდვილეში ხუთჯერ მეტი მაინც არის. ბოლო დროს არაბულ სამყაროში, ზოგადად ჩრდილო აფრიკის ქვეყნებში ვითარების აბობოქრებასთან და მიმდინარე შეიარაღებულ დაპირისპირებებთან დაკავშირებით იქიდან სამხრეთ ევროპის ქვეყნებში არალეგალურ მიგრანტთა რიცხვის მკვეთრი ზრდის გამო იტალიამ, საფრანგეთმა, ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ სასაზღვრო-საემიგრაციო კონტროლი საგრძნობლად გაამკაცრა, რამაც ხელი შეუშალა ყველა არალეგალურად გადასვლის მსურველს, რასაც ბოლო დროის სტატისტიკა მოწმობს.

კიდევ უფრო დიდია ჩვენი თანამემამულეთა რიცხვი რუსეთში, სადაც ორ ქვეყანას შორის უკიდურესად დაძაბული სამხედრო-პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მიუხედავად, საკმაოდ მიახლოებითი გაანგარიშებით, ნახევარი მილიონიდან მილიონამდე კაცია, რომელთაგან ლეგალურად 20-25 პროცენტი თუ ცხოვრობს. მოსკოვსა და ქვეყნის სხვა მსხვილ ქალაქებში, ასევე რეგიონში გაღვივებული ნაციონალიზმის, კავკასოფობიის პირობებში იქ ყოფნა, ცხადია, მარტო მეტად რთული კი არა, დროდადრო სახიფათოც კია, მაგრამ ალტერნატივის უქონლობის გამო შიმშილობას ბევრი მაინც იქ ყოფნას ამჯობინებს.

უცხო ქვეყანაში ლუკმაპურის საშოვნელად ლეგალურად თუ არალეგალურად წასვლასაც რომ დავანებოთ თავი, მარტო საზღვარგარეთ გასვლა, თავისთავად, ბევრი ვერაფერი საქმეა, მთავარია იქ სამუშაოს შოვნა, „ჯიბის გასაწვდომი“ საცხოვრისის მონახვა, მოკლედ, ფეხის მოკიდება. ამას კი ხშირად კვირეები, ზოგჯერ თვეებიც სჭირდება. განსაკუთრებით ახალგაზრდებს უჭირთ, ხშირია ენობრივი პრობლემებიც. ამდენად, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ბევრი ემიგრანტი ბოლოს ისევ სამშობლოში ბრუნდება და ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებას უკვე აქ ცდილობს, რასაც საქართველოს ხელისუფლების სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის დაპირებაც დიდად უწყობს ხელს. მაგრამ, სამწუხარო ფაქტი ის არის, რომ რეპატრიანტთა შორის ხელმეორე ემიგრანტთა რიცხვი ნახევარზე მეტია...

**ოთარ ტურაბელიძე**

სახალხო დამცველი

# დევნილები მძიმე მდგომარეობაში არიან



(მეცხრე გვერდიდან)

**ადგილზე ცხოვრებას დევნილთა 15 ოჯახი განაგრძობს, რომლებიც არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სასწრაფოდ საჭიროებენ განსახლებას. დევნილთა განმარტებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დარჩენილი დევნილები ახლად რეაბილიტირებულ საცხოვრებლებში ფართის უქონლობის გამო, უნდა დაელოდონ საცხოვრებლით დაკმაყოფილების მომდევნო ეტაპს. მსგავსი პრობლემა დგას ობიექტ „კურორტი ამაღლებაშიც“. შენობა ხის კოტეჯს წარმოადგენს, რომელიც დანგრევის პირას არის. აღნიშნულ ობიექტში 34 დევნილი ოჯახი ცხოვრობს.**

**აღსანიშნავია, რომ „ტურბაზა რიონის“ პრობლემა ასახულია საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ჩემს 2010 წლის სპეციალურ ანგარიშში, სადაც გაკეთებულია შესაბამისი რეკომენდაციები.**

**აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის დროს „ლიკანი 2-ს“ და „ლიკანი 3-ს“ არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია. აგრარული უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში მილების გაუმართაობამ გამოიწვია სასმელი წყლის დაბინძურება. ამასთან, ბაგების სტუდქალაქის მე-4 და მე-5 კორპუსები არ არის გაზიფიცირებული.**

**იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის 2.1.1 ქვეპუნქტის მიხედვით, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პირველი ეტაპის ფარგლებში ხორციელდება კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია და საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული ქვეპუნქტის საფუძველზე კოლექტიური ცენტრების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემამდე უნდა განხორციელდეს ამ ობიექტების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

**ნატა ნიბლაძე**

ტერაქტის კვალდაკვალ

# რატომ „გამოირჩა“ სწორედ ნორვეგია?

**ნორვეგიელმა ულტრამემარჯვენე ბრეივიკმა დახვრიტა 75-ზე მეტი კაცი, რითაც თავისი ქვეყნის ისლამიზაციას გამოუცხადა პროტესტი. არ მესმის, ნუთუ ნორვეგიაში ასე ბევრი მუსლიმანია? საერთოდ, ევროპული ქვეყნებიდან რომელია ყველაზე მუსლიმიზირებული?**

**ვ.გუსეევი, ორენბურგი**

სხვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით ნორვეგიაში მუსლიმანები შედარებით ცოტაა. „მუსლიმანი მოსახლეობის ყველაზე დიდი წილით ქვეყნებს შორის გამოირჩევიან საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, – ამბობს პოლიტიკური ექსპერტების საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი ევგენი მინჩენკო. – მაგრამ ფრანგების, ჰოლანდიელების ან ინგლისელების კისერზე მრავალსაუკუნოვანი კოლონიური ისტორია, უცხო ხალხებთან შეგუების გამოცდილებაა. გერმანიას თურქებთან ურთიერთობის მდიდარი ისტორიული გამოცდილება აქვს – შემთხვევითი როდია, რომ მიგრანტები თურქეთიდან უპირატესად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიემგზავრებიან. სკანდინაველებს ამგვარი გამოცდილება არ აქვთ.

შეიძლება, სწორედ ამიტომ, მიაჩნია ექსპერტს, მიგრანტების შემოტევა აღიზიანებს იგივე ნორვეგიელებს უფრო მეტად, ვიდრე მეზობლებს კონტინენტზე. მაგრამ ნორვეგია აღსანიშნავია კიდევ იმით, რომ მისი ელიტის ნაწილმა XX საუკუნეში იოლად მიიღო ნაცისტური იდეები და აქტიურად დაუჭირა მხარი ჰიტლერს მეორე მსოფლიო ომის დროს.




ღია წყაროების მონაცემებით

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თეატრალური საზოგადოების წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

სოფიკო ნიკოლიშვილი

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.



საქართველოს ეროვნული მუზეუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი თანამშრომლის, ცნობილი ფოტოგრაფის

გურამ ბუმბიაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გურამ ახალაია, გია მახარაძე, თემურ ხარებავა, გოდერძი ბუკია, თეიმურაზ კვარაცხელია, მარიამ მიქაძე, მანანა, ნანა კეკელიძეები, ბიძინა სონღულაშვილი, ზურაბ ერქვანია ოჯახებით იუწყებიან გივი ბარამიძის დედის ქალბატონ

ვერა ალექსანდრეს ასულ სეფიაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ახლობლებს.

ინფორმაცია

### გაზგასამართ სადგურზე მანქანა აფეთქდა

**გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში, გაზგასამართ სადგურზე „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანა აფეთქდა.**

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, აფეთქების შედეგად მანქანის მძღოლი, 47 წლის გიორგი ხატანიშვილი მძიმედ დაშავდა, დაზიანდა გვერდით მდგომი ავტომანქანაც.

დაშავებული გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოში მიიყვანეს, თუმცა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, ის კატასტროფის მედიცინის ცენტრის ბრიგადამ თბილისში გადაიყვანა.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

### ცოფით 15 წლის მოზარდი გარდაიცვალა

**ბავშვი ძაღლმა ორი თვის წინ დაკაწრა, თუმცა ექიმს მხოლოდ ორი კვირის წინ მიმართა. მოზარდს არც ცოფის საწინაალმდეგო აცრა ჰქონდა გაკეთებული.** ბავშვი დასავლეთ საქართველოდან იყო.

ჯი-ეიჩ-ენი

## მართალს ვიტყვი...



ბევრ თბილისელს, მეტადრე, თეატრის მოყვარულს ახსოვს ალექსანდრეს ბაღის ქვედა მხარეს ცნობილი რეჟისორის სანდრო მრევლიშვილის მიერ დაარსებული (თითქმის მისივე აშენებული) კოხტა თეატრი „გლობუსი“ და მის სცენაზე გათამაშებული ნაირგვარი სპექტაკლები. მოგვიანებით აქ თეატრი გაუქმდა (როგორც ამბობენ, ვიღაცამ „აჯობა“ სანდროს, შენობა „დაითრია“ და გვარიან „ზემდგომებს“ საჩუქრად გადასცა თავისი ტერიტორიით... არ ვიცი, ჭორებს ვერ ავყვები...), თუმცა, კარგა ხანს იმართებოდა აქ ახალგაზრდული საღამოები თუ ჭიდაობისა და კრივის ტურნირები. ერთ დღესაც (ერთ ღამეს) „გლობუსის“ მაყურებელთა დარბაზი ვიღაცებს ერთიანად „გაუსუფთავებიათ“, თუ რამ ფიცრის ნასახი იყო, წაუღია და დარჩა კარებჩამოგლეჯილი თეატრის შენობის გარსი, რომელიც, უკვე რამდენიმე თვეა, ჩაბინძურებულ ჩეჩმად არის გადაქცეული (ამ ბაღის კეთილმოსაწყობად მერიამ მილიონები დახარჯა, ერთი ტუალეტის აშენება კი ვერ მოახერხა, არადა, ზედა, 9 აპრილის ბაღად წოდებულ მხარეს, მდებარე საპირფარეშო აშკარად არ კმარა). ჰოდა, გამოდის, რა „სურნელება“ გამოდის ჩეჩმადან!.. ეს პანაქება ხომ პირდაპირ მისწრებაა ამ „სურნელების“ ბაღის კიდით-კიდემდე მისაღწევად...

# ერთ დროს თეატრი „გლობუსი“, ამჟამად სანაგვე და ჩეჩმა...





თუ არ გჯერათ, მობრძანდით ერთ დღეს ბაღში, მერიის მესვეურნო, ჩამოჯექით ჩვენს გვერდით და თავად დარწმუნდებით ამ ფაქტის სისწორეში. მით უმეტეს, თუ ქარიანი დღე იქნა.

ვილენ მარდალეიშვილი

სურათებზე: თეატრ „გლობუსის“ შენობის გარსი; აი, რა დღეშია შიგნით იქაურობა

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● იტალიელმა მოგზაურმა ქაბულში პირველად ნახა და აღწერა ქაღალდის ფული, რომელიც ევროპაში მხოლოდ 4 საუკუნის შემდეგ შემოიღეს.

● ალჟირის დედაქალაქს ალჟირი ჰქვია, ბრაზილიის დედაქალაქს — ბრაზილია, ხოლო ტუნისისას — ტუნისი.

● ბრუნეის, კატარის, საუდის არაბეთისა და ლიბიის ძირითადი პროდუქტი მხოლოდ ნავთობია.

● ამერიკელი ძმების ამ „გამოგონებას“ მსოფლიო აღიარება რეი კროკმა მოუტანა, რომელმაც ის ძმებისგან 1955 წელს შეისყიდა, თუმცა საბჭოთა კავშირში პირველი ასეთი ობიექტი მხოლოდ 1989 წელს გახსნა და ეს იყო „მაკდონალდსი“.

● ის ყველაზე იაფია და ყველაზე ძვირი, ზოგს თავზე საყრელად აქვს და არ იცის, სად წაიღოს,ზოგს კი მუდამ არ ჰყოფნის, ზოგიერთის აზრით, ის ურთიერთშორის კავშირის საშუალებაა, ზოგიერთისთვის კი სამკურნალო საშუალებაა და ეს არის — ფული.

● XVI საუკუნემდე რუსეთში აუცილებლად ფარმაცევტების მეთვალყურეობით უნდა მიეღოთ ის, რაც იმდროინდელი ექიმების მტკიცებით „ორგანიზმიდან გამოყოფს ზედმეტ სითხეს, აცოცხლებს გულს, კურნავს კოლიტს, წყლულს, დამბლას, ციებ-ცხელებას, აყუჩებს კბილის ტკივილს და გვიცავს შავი ჭირისგან“ და ეს გახლავთ არაყი.

● 1882 წლის დადგომამდე პომადის მაგივრად ქალები თხევად თიხას, რკინის ჟანგს, ვაშლის წვენს, წენგოსა და სხვა საშუალებებს იყენებდნენ, მაგრამ სწორედ ამ წელს პირველად შეაერთეს რძე, ფუტკრის სანთელი, შავი ყურძნის ფესვები, წიპწა, სხვა ინგრედიენტები და მიიღეს პომადა.

● XIII საუკუნემდე ის მხოლოდ სილამაზისთვის გამოიყენებოდა, XVI საუკუნეში მან პრაქტიკული მიზანი შეიძინა. XIX საუკუნეში მას შუშისა და კერამიკისაგან აკეთებდნენ, იმავე საუკუნის შუა წლებში მის მასალად ნიჟარები, სადაფი, რქა, ფოლადი და სპილენძი გამოიყენებოდა. XX საუკუნის 40-იან წლებში შეიძლებოდა ერთ ადამიანს ის სამოცდაათიც კი ჰქონოდა, მაგრამ მათ მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდა ფუნქცია და ეს იყო ღილი.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

სახელგანთქმული მსახიობი ქალი:
— კმარა მარტო ჩემზე ლაპარაკი. ახლა თქვენს თავზეც მიამბეთ რაიმე. მაგალითად, როგორ მოგეწონეთ ბოლო ფილმში?

* * *

რეჟისორი ახალგაზრდა მსახიობ ქალს სცენის შინაარსს უხსნის:
— ოთახში მყუდროდ ზიხართ და ტელევიზორს უყურებთ, ამ დროს შემოვარდება მძარცველი, გაგკოჭავთ და გაგაუპატიურებთ, გასაგებია?
— დიახ, რა თქმა უნდა, მძარცველი სიმპათიური იქნება?
— მაშ, როგორ!
— მაშინ გაკოჭვა რა აუცილებელია?

* * *

— ექიმო, რამდენი ხნის სიცოცხლე დამრჩა?
— ექვსი...
— ექვსი წელი, თვე თუ რა?
— ხუთი ოთხი, სამი...

* * *

ჭიჭიკია ეუბნება ნაზიკიას:
— მინდა გაკოცო, ძვირფასო.
— არ შეიძლება, დედაჩემი კოცნის სასტიკად წინააღმდეგია.
— დედაშენის კოცნას არ ვაპირებ!



* * *

თბილისის მერიაში:
— უკაცრავად, ბატონო, ამდენ დროს რომ გართმევთ ჩემი საქმეებით!
— არა უშავს, განაგრძეთ, მაინც არ გისმენთ.

* * *

ახალგაზრდა კაცმა ხანდომიან ხანში შესულ ქალბატონს გული და ხელი სთხოვა.
— თუ გადასანერგად გინდათ, თანახმა, ვარ, — უპასუხა ქალმა.

* * *

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ამბაკო შვილიშვილს თავისი გმირობის ამბავს უყვება:
— შეუმჩნევლად მივხოხდი, ბაბუ, იქამდე და გერმანელს ფეხი მოვაჭერი.
— კი მარა, თავი რატომ არ მოაჭერი!
— თავი, ბაბუ, მოჭრილი ჰქონდა უკვე.

* * *

— ქალბატონო, შეიძლება დავაბრუნო ეს ქურთუკი? — ეკითხება მამაკაცი გამყიდველს.
— ბატონო, ხომ გარკვევით წერია: „გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება“.
— მაგრამ მე ხომ არ მიყიდია, მოვიპარე.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36-00-35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24